

კრედიტორები (მევალები)

ავგუსტ სტრინდბერგი

(მთარგმნელი ია გოგიშვილი)

ტრაგიკომედია

მოქმედი პირები:

თეკლა.

ადოლფი, თეკლას ქმარი-მხატვარი.

გუსტავი, თეკლას ყოფილი ქმარი-ინკოგნიტოდ მოგზაური.

ზღვის სანაპიროსთან ახლოს მდებარე სასტუმროს მისაღები ჰოლი. სცენის უკანა მხარეს კედელში დიდ აივანზე გამავალი კარია, საიდანაც მოჩანს სასტუმროს მიმდებარე ტერიტორია. მარჯვნივ მაგიდაა, რომელზეც გაზეთები აწყვია, მაგიდის მარცხნივ ჩვეულებრივი სავარძელი დგას, მარჯვნივ კი-სარწევლა. ამავე მხარეს სხვა ოთახში გამავალი კიდეც ერთი კარია. ადოლფი და გუსტავი სცენის მარჯვნივ სხედან მაგიდასთან.

ადოლფი - (პატარა დაფაზე ცვილის ფიგურას ამუშავებს, იქვე, ახლოს ორი ყავარჯენი დევს)
...და ყველაფერ ამას შენ უნდა გიმადლოდე!

გუსტავი - (სიგარას ეწევა) კარგი, რას ამბობ!..

ადოლფი - იმას, რაც სიმართლეა! ჩემი ცოლის გამგზავრებიდან პირველ დღეებში ერთადერთი, რასაც ვახერხებდი, სრულიად დაღეწილი და მოწყენილი ვიწექი და მასზე ვდარდობდი! თითქოს ჩემი ყავარჯენებიც თან წაეღო - ადგილიდან განძრევასაც ვერ ვახერხებდი. შემდეგი რამოდენიმე დღე ძილში გავატარე... როდესაც აზრზე მოსვლა დავიწყე, თითქოს თავის ტკივილმაც გამიარა, საღად აზროვნების უნარიც დამიბრუნდა, ისევ გამიჩნდა მუშაობის სურვილი, შემოქმედებითი იმპულსები - ჩემი უხევის უწინდელი მკვეთრი და მკაფიო სიზუსტე!.. და, აი, სწორედ ამ დროს გამოჩნდი!

გუსტავი - სიმართლე გითხრა, პირველად რომ დაგინახე, ისე საცოდავად გამოიყურებოდი, თან-ყავარჯენებით... მაგრამ არ მგონია, რომ შენი გამოჯანმრთელება ჩემი დამსახურება იყოს. უბრალოდ, დასვენება და მამაკაცების საზოგადოებაში ყოფნა გესაჭიროებოდა.

ადოლფი - როგორც ყოველთვის, რასაც ამბობ, სიმართლეა: ქორწინებამდე მეგობრები მყავდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც თავად ავირჩიე ჩემთვის ერთადერთი მეგობარი, მათ აუცილებლობას ვეღარ ვგრძნობდი. მერე ახალი ნაცნობების წრე კი გამიჩნდა, მაგრამ ჩემმა ცოლმა მათზე ეჭვიანობა დაიწყო, მას სურდა, რომ მხოლოდ მისი ვყოფილიყავი, მეტიც-ჩემი მეგობრებიც მხოლოდ მისი მეგობრები უნდა ყოფილიყვნენ, ამ შემთხვევაში კი მე ვრჩებოდი პირისპირ საკუთარ ეჭვებთან.

გუსტავი - ესეიგი, შენც დაავადებული ყოფილხარ ამ ავადმყოფობით.

ადოლფი - მე მისი დაკარგვის მეშინოდა და ამიტომაც ვცდილობდი, წინასწარ განმესაზღვრა ყველაფერი. არის რაიმე ამაში გასაკვირი? თუმცა, ის ყოველთვის ვიცოდი, რომ სხვასთან არასდროს მიღალატებდა, ამის ნამდვილად არ მეშინოდა.

გუსტავი - ხო, ნამდვილ მამაკაცს ხომ არასოდეს აშინებს მსგავსი რამ!

ადოლფი - მხოლოდ ერთი რამ მაფორიაქებდა, რომ ჩემს მეგობრებს მასზე, ან ჩემზე ცუდი ზეგავლენა არ მოეხდინათ, ერთმანეთის წინააღმდეგ რომ არ განვეწყვეთ, ამის მეშინოდა, ამას ვერ გავუმღებდი...

გუსტავი - ესეიგი, გამოდის, რომ შენ და შენს ცოლს სხვადასხვა შეხედულებები გქონიათ!

ადოლფი - უკვე იმდენი რამ იცი ჩვენს შესახებ, ბარემ ყველაფერს გიამბობ... ჩემს ცოლს განსაკუთრებული ხასიათი აქვს... რატომ იცინი?

გუსტავი - არაფერია, გააგრძელე! ჩემს ცოლსაც განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა...

ადოლფი - ხო, ის ვერასოდეს იტანდა, რომ ჩემგან რაიმეთი დავალეული ყოფილიყო...

გუსტავი - თუმცა... სხვებთან ეს პრობლემა არ ჰქონდა, არა?..

ადოლფი - (წამიერი დაფიქრების შემდეგ) დიახ, სხვებთან - არა! .. მე ვხვდებოდი, რომ ის ჩემს შეხედულებებს განა იმიტომ ვერ იტანდა, რომ თვლიდა, თითქოს ვცდებოდი რაიმეში, არა... მხოლოდ იმიტომ უარმყოფდა, რომ ძალიან ხშირად თავად მიეწერა ჩემი უწინდელი მოსაზრებები, რომელთაც ისე მყარად იცავდა ხოლმე, როგორც-საკუთარს. ან, როცა რომელიმე ჩემი მეგობარი შთაუწერავდა ჩემს მოსაზრებებს, ისე, როგორც-საკუთარს, ალბათ, ესეც აღფრთოვანდებოდა ხოლმე. ყველაფერს მოიწონებდა, ოღონდ კი ეს ჩემთან დაკავშირებული, ან ჩემი ნააზრევი არ ყოფილიყო.

გუსტავი - მოიცადე, ესეიგი, რა გამოდის, რომ ძალიან ბედნიერი კაციც არ გეთქმის?

ადოლფი - არა... მე ბედნიერი ვარ! სწორედ ისეთი ცოლი მყავს, როგორზეც ყოველთვის ვოცნებობდი. სხვა არც არასდროს მდომებია...

გუსტავი - რას ამბობ, დარწმუნებული ხარ, რომ არასდროს მოგდომებია, ისეც თავისუფალი ყოფილიყავი?

ადოლფი - ასე გადაჭრით ვერ გეტყვი, რომ-არა.... რა თქმა უნდა, ხანდახან მიფიქრია, რომ, ალბათ, უფრო მშვიდად ვიცხოვრებდი, ცოლი რომ არ მყოლოდა მეთქი, მაგრამ საკმარისია, სახლიდან გავიდეს და უკვე მენატრება, ისე მაკლია ხოლმე, როგორც სხეულის, ან სულის ნაწილი! შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოს, მაგრამ ხანდახან ცალკე პიროვნება კი არა, საკუთარი თავის ნაწილი მგონია, რომელიღაც შინაგანი ორგანო, რომელმაც ჩემი თავისუფალი ნება დაიპყრო და ამით სიცოცხლით ტკობის შესაძლებლობაც დამაკარგვინა; მგონია, რომ ჩემივე ნებით მასში გადავიტანე სწორედ ის სასიცოცხლო კვანძი, რომელზეც ანატომია საუბრობს!

გუსტავი - შესაძლოა, ასეც იყოს, თუ ყველაფერი წრეზე ტრიალებს...

ადოლფი - წარმოდგენა არ მაქვს!.. ისეთი დამოუკიდებელი ნატურაა, საკუთარი იდეების ისეთი მრავალფეროვნებით!.. მასთან შეხვედრამდე არავინ ვიყავი-მან კი ჩემში მხატვარი აღზარდა!

გუსტავი - თუმცა, შემდეგ შენ გააღვივე მასში ახალი იდეები, ესეიგი, შენც აღზარდე იგი... ასე არ არის?

ადოლფი - არა! მან შეწყვიტა განვითარება, მე კი ძალიან სწრაფად მივიწევდი წინ!

გუსტავი - ხო, ცოტა საეჭვოა... ესეიგი, როგორც კი თავისი პირველივე წიგნი გამოსცა, მის ნიჭს მალევე მიაღმა ჩრდილი, ან უკეთ რომ ვთქვათ, ვფიქრობ, მას შემდეგ განვითარება შეწყვიტა!.. ამ წიგნის შემთხვევაში კი, როგორც მითხარი, მას ისეთი მსუყე თემა ჰქონია-თავისი პირველი

ქმრის შესახებ დაწერა, არა?... იცნობდი მას? ალბათ, უიშვიათესად გამორჩეული, უნიკალური იდიოტი გალხდათ!

ადოლფი - არასოდეს შევხვედრივარ... ჩვენი გაცნობიდან ექვსი თვის შემდეგ დაშორდა, თუმცა, მისი პორტრეტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, განსაკუთრებული იდიოტი უნდა ყოფილიყო. (სიჩუმე) პორტრეტში ხომ ადამიანი საკუთარ თავს ყველაზე მეტად უნდა გავდეს წესით!

გუსტავი - დიახ, წესით, რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! - კი, მაგრამ ასეთ კაცს რატომ გაჰყვა ცოლად?

ადოლფი - სანამ ცოლად გაჰყვებოდა, არ იცნობდა. ერთმანეთის გაცნობას ხომ დრო სჭირდება?

გუსტავი - დიახ, დროზე ადრე არ უნდა დაუკავშირო სხვა ადამიანს შენი ცხოვრება! ალბათ, დესპოტიც იყო!

ადოლფი - ალბათ...

გუსტავი - ალბათ კი არა, ყველა ქმარი დესპოტია, ასე განზრახ იქცევინ... და არც შენ იქნები ნაკლები!

ადოლფი - მე? მე მას ნება მივეცი, მაშინ წავიდეს და მოვიდეს, როცა თავად მოესურვება...

გუსტავი - ოხ, დიდი დამსახურებაა!.. აბა, ჩარაზული ხომ არ გეყოლებოდა?! ისე, სასიამოვნოა, როცა ცოლი ღამეს სახლში არ ათევს?

ადოლფი - რა თქმა უნდა, არ არის სასიამოვნო...

გუსტავი - აი, ხედავ! როგორი ინტონაცია იგრძნობა შენს ხმაში... სიმართლე გითხრა, ეს სასაცილოა...

ადოლფი - სასაცილოა, როცა საკუთარ ცოლს ენდობი?

გუსტავი - რა თქმა უნდა, სასაცილო ხარ!.. კარგი გაგებით.

ადოლფი - (ცახცახებს) მე!.. ეს ბოლო იყო! მაგ როლს არასოდეს დავთანხმდები!

გუსტავი - ასე ნუ ინერვიულებ, თორემ ისევ წაგივა გული!..

ადოლფი - გამაგებინე, რატომ ის არ არის ხოლმე სასაცილო, როცა მე არ ვათევ ღამეს სახლში?

გუსტავი - რატომ?.. არ ვიცი, ახლა მასზე ვსაუბრობთ და სანამ შენ აქ არკვევ, ასე რატომ ხდება, შესაძლოა მოსალოდნელი უბედურება წარსულად იქცეს...

ადოლფი - რომელი უბედურება?

გუსტავი - ეტყობა, სინამდვილეში მისი ყოფილი ქმარი მართლა დესპოტი იყო, ის კი მას მხოლოდ იმიტომ გაჰყვა, რომ თავისუფალი ყოფილიყო, საზოგადოებაში ხომ ასეა მიღებული-ქალს თავისუფლება მხოლოდ მას შემდეგ ეძლევა, რაც ეგრეთწოდებულ ქმარს მოიპოვებს, ერთგვარი შირმები ვართ მათთვის, ჩვენ ამოგვეფარებიან ხოლმე.

ადოლფი - რა თქმა უნდა...

გუსტავი - ხოდა, შენც ასეთი შირმა ხარ.

ადოლფი - მე?..

გუსტავი - ხო, რა იყო, მისი ქმარი არ ხარ? (ადოლფი ჩაფიქრდა) მართალს ვამბობ?

ადოლფი - (აღელვებული) არ ვიცი!.. გამოდის, წლები ცხოვრობ იმ ქალთან ერთად, რომლის შესახებაც სინამდვილეში არაფერი იცი, რადგან ერთხელაც კი არ დაფიქრებულხარ მასზე გულმოდგინედ, არაფერი იცი მის სხვებთან ურთიერთობებზე... მერე კი უცებ... იწყებ ფიქრს და!.. გუსტავ, შენ ნამდვილი მეგობარი ხარ! ჩემი ერთადერთი მეგობარი! ამ ბოლო რვა დღის მანძილზე შენ მე საკუთარი თავი ხელახლა მაპოვნინე, ძალა და ენერჯია შთამბერე! იმ შესაათეს გავხარ, რომელმაც თავში რაღაც მექანიზმი ჩამიდგა და ზამბარა მომართა... ატყობ, რომ უკეთ ვაზროვნებ, უკეთ ვმეტყველებ?... და მეჩვენება, თითქოს ხმაც კი უკეთ მიჰდერს!

გუსტავი - ხო... მეც ასე მეჩვენება... მაგრამ ეს როგორ უნდა მომხდარიყო?

ადოლფი - არ ვიცი. შესაძლოა, ქალებთან ურთიერთობა გვაჩვევს ჩუმად ლაპარაკს, ყოველშემთხვევაში, მე თეკლა სულ მსაყვედურობდა, რომ ძალიან ხმამაღლა ვსაუბრობდი!

გუსტავი - ...და შენც ტონს სამუდამოდ დაუწიე, არა, მხდალო?!

ადოლფი - არა... (ფიქრის შემდეგ) უარესად მოვიქეცი!.. თუმცა, ახლა არ გვინდა ამაზე ლაპარაკი... მანამდე რის შესახებ ვსაუბრობდით?... ა, ხო... მინდოდა მეთქვა, შენ ჩამოხვედი და საკუთარ შემოქმედებაზე თვალი ამიხილე მეთქი... თავადაც ვგრძნობდი, როგორ მეკარგებოდა ნელ-ნელა ინტერესი ფერწერის მიმართ, რადგან ვფიქრობ, ეს საქმე საკმარისად არ აღმაფრთოვანებს იმის გამოსახატავად, რისი თქმაც მსურს, მაგრამ როცა შენ გამოჩნდი და ამიხსენი, თუ რატომ ხდება ეს ასე, ამის მიზეზი... ის, თუ რატომ არ შეუძლია ფერწერას თანამედროვე ფორმაში ემსახუროს შემოქმედებით აღმაფრენას, მაშინვე ყველაფერი დალაგდა და მივხვდი, რომ ამის კეთება მხოლოდ ფერების საშუალებით სრული უაზრობაა.

გუსტავი - დარწმუნებული ხარ, რომ ხატვა აღარასოდეს მოგინდება?

ადოლფი - სრულიად! უკვე ვცადე და აღარც გამომდის! იმ საღამოს, ჩვენი საუბრის შემდეგ, დასაძინებლად რომ დავწეიქი, დავფიქრდი... დაწვრილებით ვიხსენებდი თითოეულ სიტყვას, ვაანალიზებდი, რაზეც ჩვენ ვისაუბრეთ, მორიგი შეცდომის დაშვების მეშინოდა... იმ ღამით გულიანად გამოვიძინე. დილით, რომ გავიღვიძე, ჯერ კიდევ ნათელ გონებაზე ჭექა-ქუხილივით გამიელვა აზრმა, რომ შენ შესაძლოა ცდებოდე ჩემთან დაკავშირებით. ხოდა, საწოლიდან წამოვხტი, პალიტრასა და ფუნჯს ხელი დავავლე და ხატვას შევუდექი... მაგრამ-არა, არაფერი გამომივიდა! ვეღარ მოვატყუე საკუთარი თავი, მხოლოდ რაღაც სისულელე დავჯღაბნე და სულ ეს იყო. კინალამ გავგიჟდი, როცა დავფიქრდი, რომ ოდესღაც თავადაც მჯეროდა და სხვასაც რომ ვარწმუნებდი, ერთი შეღებილი ტილოს ნაგლეჯი შეიძლება შემოქმედება იყოს მეთქი, ანუ იმაზე მეტი, ვიდრე - უბრალოდ ტილოს ნაგლეჯია! თითქოს თვალებიდან პირველად გამოვიხედე, ახლა ისევე შეუძლებლად მეჩვენება ფერწერით რაიმეს შექმნა, როგორც - ბავშვობაში დაბრუნება!

გუსტავი - და ამით დარწმუნდი იმაში, რომ ჩვენი დროის ტაქტიკურმა სწრაფვამ, თანამედროვე შეხედულებებმა სინამდვილესა და რეალურ მტკიცებულებებზე, გამომსახველობა მხოლოდ სამგანზომილებიანი აღქმის ქანდაკებაში შეიძლება ჰპოვოს? ფიქრობ, მხოლოდ ასე შეიძლება ადამიანის სხეულის სრულყოფა?

ადოლფი - (გაიაზრებს) სამ განზომილებაში... ხო, ერთი სიტყვით, სხეული...

გუსტავი - კარგი, დავუშვათ, გახდი მოქანდაკე... ბოდიში, უფრო სწორად, ყოველთვის იყავი, უბრალოდ არასწორი გზით მიდიოდი და გზის გამკვალავი გჭირდებოდა, რომელიც მიგითითებდა, საით სჯობდა გეზის აღება... ახლა? ახლა თუ განიცდი მუშაობისას სრულყოფილი ბედნიერების შეგრძნებას?

ადოლფი - კი, ახლა ცოცხალი ვარ!

გუსტავი - შეიძლება შენი ნამუშევარი ვნახო?

ადოლფი - ქალის სხეულია...

გუსტავი - ეს მოდელის გარეშე გააკეთე?.. ასეთი ცოცხალი!

ადოლფი - **(პირქუშად)** ხო, მაგრამ ის მხოლოდ ერთადერთ ქალს გავს! წარმოუდგენელია, ის ისევე ცხოვრობს ჩემში, როგორც მე-მასში.

გუსტავი - ეგ უკანასკნელი არც მაკვირვებს - ტრანსფუზიის შესახებ გსმენია რამე?

ადოლფი - სისხლის ტრანსფუზიაზე - კი.

გუსტავი - ხოდა, არ გეჩვენება, რომ ბევრი სისხლი გაქვს დაკარგული? მაგრამ ახლა, როცა ამ სხეულს ვუყურებ, ვთვლი, რომ რაც ადრე მიახლოვებით მესმოდა, ჩემთვის სრულიად გასაგები გახდა. ალბათ, სიგიჟემდე გიყვარდა?..

ადოლფი - დიახ. ისე მიყვარდა, რომ ვეღარც კი ვარკვევდი ის იყო მე, თუ მე ვიყავი ის... როცა ის ილიმის, ვილიმი მეც, ის ტირის და მეც მეტირება. შეგიძლია წარმოიდგინო - როცა ის ჩვენს შვილს აჩენდა, მეც იგივე ტკივილს განვიცდიდი, რასაც - ის!

გუსტავი - იცი, რა ჩემო ძვირფასო?! ძალიან კი მიჭირს ამის აღიარება, მაგრამ შენ უკვე ეპილეფსიის პირველი ნიშნები აღგენიშნება!

ადოლფი - **(აღელვებული)** ვითომ? ეს რამ გაფიქრებინა?

გუსტავი - ჩემთვის ეს ნაცნობი სიტუაციაა, ჩემს უმცროს ძმას, რომელსაც ქალებთან ურთიერთობის ჭარბი გამოცდილება ჰქონდა, ასეთივე სიმპტომები აღენიშნებოდა...

ადოლფი - და ამიხსენი, რაში გამოიხატებოდა ეს სიმპტომები?.. **(გუსტავი მას ჩუმად, ჩურჩულით უყვება რაღაცას საკმაოდ ხატოვანი, გამომსახველი მოძრაობებითა და მიმიკით. ადოლფი მას ყურადღებით უსმენს და თავისდაუნებურად იმეორებს მის მოძრაობებს).**

გუსტავი - **(ხმამაღლა)** ეს საშინელება იყო... თუ კარგად იცნობ საკუთარ სისუსტეს, მე აღარ დაგტანჯავ ამაზე საუბრით.

ადოლფი - **(შეშინებული)** არა, განაგრძე, განაგრძე!

გუსტავი - კი, ბატონო!.. ხოდა, ჩემს პატარა ძამიკოს მოუწია ამ ნორჩ, უბიწო, მტრედისთვალემა, კულულებიან გოგონაზე დაქორწინება, მას ბავშვური გამომეტყველება და ანგელოზივით სუფთა სული ჰქონდა, თუმცა, მაინც მოახერხა მამაკაცური პრეროგატივის მისაკუთრება.

ადოლფი - უფრო კონკრეტულად?.. რას თვლით მისაკუთრებაში?

გუსტავი - რა თქმა უნდა, ინიციატივის საკუთარ თავზე აღებას... თანაც ისეთი წარმატებით ახერხებდა ამას, რომ მისი ანგელოზსაც კი შემურდებოდა... თუმცა ჩემს ძმას ნაადრევად მოუწია ეგემა ჯვრის სიმძიმეცა და ეკლის გვირგვინიც, ეს საშინელება იყო...

ადოლფი - **(სუნთქვა უჭირს)** რატომ? როგორ?..

გუსტავი - **(ნელა, ძალდაუტანებლად)** ერთხელ ვისხედით და რაღაცაზე ვსაუბრობდით. იმ წუთას, როცა ეს დაემართა, მე ვლაპარაკობდი, შევხედე და სახე მიტკალივით გაუფითრდა. ხელები და ფეხები დაეკრუნჩხა, ცერა თითები თითქოს ხელისგულებზე მიეწებაო... აი, ასე! **(ადოლფიც იგივეს იმეორებს)** თვალები ჩაუსისხლიანდა და ენა მოიკვნიტა... აი, ასე... **(ადოლფი ამასაც იმეორებს)** ისე ხროტინებდა, გეგონებოდა, იხრჩობაო, მკერდიც კი ისე დაეკრუნჩხა, თითქოს მბრუნავ დაზგაზე ატრიალებდნენ. ვხედავდი, როგორ უცემდა გული საგულეში,

თვალეებში თითქოს ცეცხლი ენთო, პირიდან დუჟი სდიოდა და ჩემს თვალწინ სავარძლის სიღრმეში ნელ-ნელა, უკან, ქვევით ისე ჩაეშვა, თითქოს წყალში იძირებოდა! შემდეგ კი...

ადოლფი - (მძიმედ სუნთქავს) საკმარისია!

გუსტავი - შემდეგ... ცუდად ხომ არ ხარ?

ადოლფი - დიახ!

გუსტავი - (დგება და წყალი მოაქვს) მიდი, დალიე და სხვა რამეზე ვისაუბროთ.

ადოლფი - (უმწეოდ) გმადლობ!.. გთხოვ, განაგრძე!

გუსტავი - კარგი... აზრზე რომ მოდიოდა, არაფერი ახსოვდა ხოლმე, უბრალოდ ასეთ დროს უგონოდ იყო!.. შენ დაგმართნია ასეთი რამ?

ადოლფი - მე მხოლოდ ხშირი თავბუხვება მაქვს. ექიმმა მითხრა, რომ ეს სისხლის ნაკლებობამ იცის...

გუსტავი - ალბათ. ყველაფერი ხომ მაგით იწყება!.. მაგრამ გარწუნებ, თუ თავს არ გაუფრთხილდები, შედეგი აუცილებლად გულყრამდე მიგიყვანს!

ადოლფი - როგორ უნდა მოვიქცე?

გუსტავი - უპირველეს ყოვლისა, სექსისა და ეროტიკული მოქმედებებისგან ყველანაირად უნდა შეიკავო თავი!

ადოლფი - რამდენი ხნით?

გუსტავი - ყველაზე ცოტა, ნახევარი წლით მაინც...

ადოლფი - შეუძლებელია! ეს ჩვენს ერთობლივ ცხოვრებას ბოლომდე გაანადგურებს!

გუსტავი - მე მითქვამს და...

ადოლფი - (ცვილის ფიგურას ნაჭერს გადააფარებს) არ შემიძლია!

გუსტავი - რა არ შეგიძლია? საკუთარი სიცოცხლის გადარჩენა?.. კარგი, რადგან აქამდე ასეთი გულახდილი იყავი ჩემთან, ბოლომდე გამენდე და მიახმე, კიდევ ხომ არ გაქვს რაიმე ისეთი საიდუმლო, რომელიც მოსვენებას არ გაძლევს, რადგან შეუძლებელია ამ არეულ ცხოვრებაში თქვენი უთანხობების მხოლოდ ერთი მიზეზი არსებობდეს. იქნებ, საკუთარ თავსაც უმაღავ? შემთხვევით, შენი დარდის ამხელა ტვირთში ვინმეს გვამიც ხომ არ მოიძებნება?! მაგალითად, ამასწინად მითხარი, რომ ბავშვიც გყავდათ, რომელიც მოიშორეთ... რატომ?

ადოლფი - ჩემს ცოლს ასე სურდა!

გუსტავი - და-რატომ? თქვი!

ადოლფი - იმიტომ, რომ სამი წლის ასაკში ბავშვი წარმოუდგენლად ჰგავდა მას... პირველ ქმარს!

გუსტავი - მართლა?! შენ გინახავს პირველი ქმარი?

ადოლფი - არასოდეს! მხოლოდ ერთხელ მოგვკარი თვალი მის აუტანელ პორტრეტს და სხვათა შორის, ვერანაირი მსგავსება ვერ აღმოვაჩინე.

გუსტავი - ხო, ამბობენ, რომ პორტრეტში ორიგინალთან მსგავსებას ვერ იპოვნი. ამას გარდა, შესაძლოა, ადამიანი დროთა განმავლობაში შეიცვალოს კიდევ!.. მანამდე არასოდეს გაგჩენია ეჭვი?

ადოლფი - არასოდეს! ბავშვი ქორწილის შემდეგ ერთ წელიწადში დაიბადა. მანამდე კი, როცა თეკლა გავიცანი, მისი ქმარი სამოგზაუროდ იყო წასული. სხვათა შორის, აქ გავიცანით ერთმანეთი, ამავე სასტუმროში. მას შემდეგ, სწორედ ამიტომაც ვისვენებთ ხოლმე ყოველ ზაფხულს აქ.

გუსტავი - ესეიგი, შენ მასში ეჭვიც არ გეპარება... მართალი ხარ, ძალიან ხშირად ქვრივი ქალების შემდგომი ქორწინების დროს გაჩენილი ბავშვები ძალიან ჰგვანან მათ მკვდარ ქმრებს! რა თქმა უნდა, ეს არ არის სასიამოვნო, მაგრამ - ფაქტია და ამიტომაც წვავენ ინდოელები ქვრივ ქალებს საკუთარ ქმრებთან ერთად! აბა, მითხარი, შენ არ ეჭვიანობ შენს ცოლზე, როცა მისი პირველი ქმარი გახსენდება? წარმოიდგინე, რა საშინელება იქნებოდა, სადმე, ქუჩაში შემთხვევით რომ შეხვედროდი... თეკლასკენ რომ გაეპარებინა მხერა და გეგრძნო, რომ ის ისევ მასთან ერთად გრძნობს თავს და არა-მარტო? აბა, წარმოიდგინე...

ადოლფი - გამოგიტყდები და ეს მტანჯველი აზრი საკმაოდ ხშირად მაწუხებს!

გუსტავი - აი, ხომ ხედავ?! ბუნებრივია, ამისგან ვერასოდეს გათავისუფლდები! ცხოვრებაში ისეთი კავშირიც არსებობს, მისი გაწყვეტა რომ ყოვლად შეუძლებელია! ამიტომაც სხვა გზა რომ არ გაქვს, ეგუები და გზას აგრძელებ! არსებობ, მუშაობ, ახალ შეგრძნებებს აგროვებ და ის გვამიც არის სადღაც, ჩუმად, თავისთვის მიყურებული...

ადოლფი - მაპატიე, რომ გაწყვეტინებ, მაგრამ... საოცარია, მაგრამ შენი საუბრის მანერით ხანდახან თეკლას მახსენებ! მარჯვენა თვალი მიზანში მსროლელივით უცნაურად გეხუჭება და შენი მხერაც ისეთივე გამჭოლია, როგორიც-მისი...

გუსტავი - ნუთუ?!.

ადოლფი - აი, ნახე, ახლაც... მასსავით თქვი: „ნუთუ“?! ზუსტად ისეთივე უდარდელი ინტონაციით! ისიც ხშირად ამბობს: „ნუთუ“?!

გუსტავი - თუ ადამიანთა მოდგმა ყველა ერთმანეთის ნათესავია დედამიწაზე, იქნებ, ჩვენც შორეული ნათესავური კავშირი გვაერთიანებს?!. ყოველი შემთხვევისთვის, საინტერესოა... კარგი იქნებოდა, შენი მეუღლე პირადად გამეცნო და თავად დავრწმუნებულიყავი ამაში...

ადოლფი - წარმოგიდგენია, ის ჩემი მეტყველების მანერას, შეიძლება ითქვას, გაურბის კიდევ, ჩემს ჩვევებს მასში ვერ აღმოაჩენ, არასოდეს შემიმჩნევია, რომ თუნდაც უნებურად რაიმე ჩემსავით გაეკეთებინა, ან ეთქვა. არადა, ცოლ-ქმარი ხშირად ისე ჰგავს ერთმანეთს!

გუსტავი - ხო... იცი, რა? ვფიქრობ, შენს ცოლს არასოდეს ჰყვარებიხარ!

ადოლფი - რას ამბობ?!.

გუსტავი - მაპატიე, მაგრამ ქალის სიყვარული თავის თავში ბუნებრივად გულისხმობს აღებას, მიღებას... და, თუ ის შენგან არაფერს იღებს, არ გემსგავსება რამით, ესეიგი, არც უყვარხარ! მოკლედ, მას არასოდეს ყვარებიხარ!

ადოლფი - უფრო ზუსტად კი იმის თქმა გინდა, რომ სიყვარული მხოლოდ ერთხელ მოდის?

გუსტავი - არა! მაგრამ თავის გასულელების უფლებას კი მხოლოდ ერთხელ აძლევს ადამიანი საკუთარ თავს, ამის შემდეგ ყველაფერს უკეთ ხედავს! შენ არასოდეს გაგისულელებია თავი? მაშინ მოერიდე ისეთ ადამიანებს, რომლებსაც უკვე აქვს მსგავსი გამოცდილება, საშიში ხალხია, გაითვალისწინე!

ადოლფი - შენი საუბარი დანასავით მოქმედებს, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ შიგნით ყველაფერი ნაწილ-ნაწილ მეფლითება და მაინც ვერაფრით ვშველი საკუთარ თავს, ხელსაც

ვერ გიშლი!.. თუმცა, გულზე ოდნავ მაინც მომეშვა, რადგან ვგრძნობ, ახლა ისეთ ჩირქგროვებს შეეხე, თავისი ნებით არაფრით რომ არ მომწიფდებოდნენ! მას არასოდეს ვეყვარებივარ!.. მაგრამ, მაშინ არჩევანი ჩემზე რატომ გააკეთა?

გუსტავი - კარგი, ოღონდ ჯერ მითხარი, როგორ აგირჩია? და საერთოდ - მან აგირჩია, თუ შენ გააკეთე არჩევანი?

ადოლფი - ღმერთმა უწყის! რა მახსოვს?.. რა თქმა უნდა, ეს ერთ დღეში არ მომხდარა!

გუსტავი - გინდა, გამოვიცნო, ეს როგორ მოხდა?

ადოლფი - ტყუილად გაირჯები...

გუსტავი - არ მგონია. იმ ფაქტების მიხედვით, რაც თავად მიაბზე საკუთარ თავსა და შენს ცოლზე, შემძლია მოვლენების მთელი ჯაჭვი ავაგო. მისმინე... ეს ყველაფერი თითქოს ნახევრად ხუმრობა იყო, ალბათ, რადგანაერად ვნებაგამოცლილიც კი, არა?.. ქმარი სულ სადღაც დადიოდა, ქალი მარტო რჩებოდა. თავიდან, ალბათ, სიამოვნებასაც ანიჭებდა ეს ერთგვარი თავისუფლება, შემდეგ კი სიცარიელე იგრძნო... როგორც მითხარი, ქალი თოთხმეტი დღე სრულიად მარტო დარჩა და რა თქმა უნდა, სიმარტოვე ტვირთად ექცა. ხოდა, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ეს სიცარიელე თანდათანობით შეავსო ჰორიზონტზე ახლადგაჩენილმა ვიღაც „სხვამ“. „წასულს“ და „მოსულს“ თუ შევადარებთ, რაღა თქმა უნდა, „წასული“ ვერ დაჩრდილავდა თავისი არ ყოფნით „მოსულს“ იმ უბრალო მიზეზით, რომ ის იქ და იმ წუთას არ იმყოფებოდა - შორს იყო. ხომ იცი, კვადრატში მანძილის დაშორება უკუპროპორციულია... მერე, ალბათ, ერთმანეთის მიმართ ვნებამ გაიღვიძა, შიშიც გაჩნდებოდა - საკუთარი თავების, სინდისისა და „იმის“ წინაშეც... ამის შემდეგ ისეთი დაუცველები იქნებოდით, ლელვის ფოთლებს ამოფარებულელებით!.. „და-ძმობანასაც“ თამაშობდით, ალბათ და რაც უფრო მეტად მგრძნობიარე ხდებოდა ეს სიყვარული, მით უფრო მეტ სულიერ მსგავსებას ჰპოვებდით ერთმანეთში...

ადოლფი - „და-ძმობანას“ შესახებ საიდან მიხვდი?!

გუსტავი - მარტივი არითმეტიკაა! ბავშვობაში „დედობანას“ და „მამობანას“ ვთამაშობთ, მერე კი, როცა ვიზრდებით, „და-ძმობანაზე“ გადავდივართ, რომ უკეთ დავმალოთ ის, რაც არ გვინდა ჩანდეს! მერე შეყვარებულები „უბიწოების ფიცს“ დებენ და ასე აგრძელებენ იმ დაუსრულებელი კუკუდამალობანას თამაშს მანამ, სანამ ერთ მშვენიერ დღეს არ დარწმუნდებიან, რომ მოჩვენებითი სიმკაცრის ნიღბები მოირგეს და საკმაოდ ბნელ კუნჭულში შეიყუჩნენ, ფიქრობენ, რომ იქ მათ ველარავინ მიაგნებს... თუმცა, ასეთ დროს ყოველთვის გრძნობენ, რომ ამ სიბნელიდან ვიღაც გამუდმებით უთვალთვალებთ - შიში იპყრობთ, მოთვალთვალე მოჩვენების შიში, რომელიც მერე რეალობად იქცევა ხოლმე, ან სახეს იცვლის და აუტანელ ტანჯვას განაცდევინებთ, რომელიც ძილს უფრთხობთ... საბოლოოდ კი ეს მოჩვენება მათ კრედიტორად იქცევა-მევახშედ... იმ მევალედ, წარა-მარა რომ კარზე აბრახუნებს. სადილობისას ისინი საკუთარ ხელებს შორის მის შავ ხელს ხედავენ, ღამის სიჩუმეში კი საკუთარ აჩქარებულ გულისცემასთან ერთად მისი აუტანელი ხმაც ესმით... ამ კრედიტორს არ შეუძლია მათ ერთად ყოფნა აუკრძალოს, სამაგიეროდ თავისი არსებობით ის მათ ბედნიერებას წარმოდგენლად უხერხულს ხდის. საბოლოოდ, აღმოაჩენენ რა ამ უხეშ ძალას, შეყვარებულები მთელი ძალით გარბიან მისგან შორს, თუმცა - უშედეგოდ. ისინი გაურბიან მოგონებებს, რომლებიც კვალდაკვალ მისდევენ, იმ ვალს გაურბიან, მევალე რომ ითხოვს მათგან, ადამიანურ მსჯავრსაც ემალებიან... ყველაფერს აკეთებენ, ოღონდ კი თავიანთ თავზე არ აიღონ საკუთარი დანაშაული. რაღაც არ უნდა დაუჯდეთ, ყველგან და ყველაფერში განტევების ვაცს ეძებენ და შენ წარმოიდგინე, პოულობენ და ხანდახან კლავენ კიდევ!.. მათ ჰგონიათ, რომ დიადი მოაზროვნეები არიან - მოაზროვნეები, ყოველგვარი ცრურწმენების გარეშე! არადა, არცერთს არ

ეყო იმის ძალაც კი, რომ ქმრისთვის პირდაპირ ეთქვათ საიმართლე - ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს და მორჩა! მშიშრები აღმოჩნდნენ და მეტი - არაფერი. მათ „მოკლეს“ საკუთარი მტანჯველი-ტირანი მკვდარია!.. ასე არ არის?

ადოლფი - ხო, მაგრამ შენ დაგავიწყდა, რომ მან მე აღმზარდა, ახალი აზრები შთამინერგა...

გუსტავი - არ დამვიწყებია. შეგიძლია ერთი რამ ამიხსნა? რატომ ვერ შეძლო შენმა ცოლმა „მისი“ აღზრდაც?.. იმ მეორის... რატომ ვერ გააღვიძა მასში თავისუფალი აზროვნება?

ადოლფი - ის ხომ სრული იდიოტი იყო!

გუსტავი - ნამდვილად!.. რა თქმა უნდა, ის იდიოტი ყოფილა! თუმცა სჯობს, დავაზუსტოთ, რადგან იმ დახასიათების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რასაც მისი ყოფილი ცოლი თავის რომანში წერს მასზე, იდიოტიზმში მხოლოდ იმას უთვლის, რომ ცოლის კარგად არ ესმოდა. მაპატიე... მაგრამ... დარწმუნებული ხარ, რომ შენი ცოლი ასეთი ღრმად მოაზროვნე ადამიანია? რატომღაც... მის ნაწარმოებებს სიღრმე აკლია...

ადოლფი - მაგაზე მეც მიფიქრია! თანაც უნდა გამოტყდე, რომ მისი გაგება მეც მიჭირს, თითქოს ჩვენი გონების მექანიზმი სრულიად განსხვავებული აგებულების არის. როცა მის გაგებას ვცდილობ, მგონია, რომ თავში რაღაც გამიფუჭდა...

გუსტავი - იქნებ, შენც... იდიოტი ხარ?!

ადოლფი - ვფიქრობ - არა! ვთვლი, რომ ის თითქმის არასოდეს არ არის მართალი. აი, მაგალითად, გინდა ბოლო წერილი წაგაკითხო? დღეს მივიღე (საფულედან წერილს იღებს).

გუსტავი - (წერილს თვალი გადაავლო) გასაგებია!.. ჩემთვის ნაცნობი წერის მანერაა!

ადოლფი - მამაკაცის დაწერილს ჰგავს, არა?

გუსტავი - ხო... ვიცნობდი ასეთ ადამიანს, ისიც ასე წერდა!.. ისევ ძმას გიწოდებს! თქვენ რა, ერთმანეთთან ურთიერთობაშიც აგრძელებთ ამ კომედიის თამაშს? ლედვის ფოთოლი დამკვნარ მდგომარეობაშიც აგრძელებს არსებობას! ...და შენ რა, მას თქვენობით მიმართავ?!

ადოლფი - დიახ... პატივისცემის გამოხატვის მიზნით.

გუსტავი - ნუთუ?! ალბათ, ამიტომაც უწოდებს თავის თავს შენს დაიკოს, რომ რაც შეიძლება დიდი პატივისცემა დაიმსახუროს შენგან!

ადოლფი - თავად მსურს, რომ საკუთარ თავზე მაღლა მისი ინტერესები დავაყენო, რადგან მინდა, რომ ის ჩემი... როგორ გითხრა?.. მინდა ჩემი საუკეთესო „მე“ იყოს!

გუსტავი - ნუთუ?! თავად რომ იყო საკუთარი თავის საუკეთესო „მე“?.. თუ სხვას რომ მიანდო ეს საქმე, უფრო ხელსაყრელია?! დავიჯერო, მართლა გინდა, რომ ქვეშევრდომად მიაჩნდე?

ადოლფი - დიახ, მინდა! ჩემთვის სასიამოვნოა იმაზე ფიქრი, რომ ის ყოველთვის ჩემზე მაღლა დგას. მაგალითს მოგიყვან: ცურვა მე ვასწავლე. ძალიან ვხალისობ, როცა ვისმენ, როგორ ტრამპახობს ხოლმე სხვებთან, თითქოს ჩემზე მაგარი და კარგი მოცურავეა. თავიდან მოუხერხებელ მშიშარად ვაჩვენებდი თავს, რომ ამით გამემხნეებინა და სტიმული მიმეცა, მერე კი, როგორც იქნა, დადგა ის დღევ, როცა აღმოვაჩინე, რომ რაღაცეებში თითქმის მჯობნიდა, მოხერხებული და მამაცი გახდა. ხუმრობის გარეშე... თითქოს მთელი ჩემი ძალა მიითვისა!..

გუსტავი - ცურვის გარდა კიდევ ასწავლე რამე?

ადოლფი - კი... ოღონდ ეს ჩვენს შორის უნდა დარჩეს... მე მას უამრავი ისეთი რამ ვასწავლე, რაზეც მანამდე წარმოდგენაც კი არ ქონდა, მათ შორის-წერაც. თავად მე წერას თავი დავანებე. გაგიკვირდება და რამოდენიმე წელიწადში გრამატიკის არსებობაც კი დამავიწყდა. გგონია ახსოვს საიდან აქვს ეს ცოდნა, ან ის, რომ ამას მე უნდა მიმადლოდეს? რა თქმა უნდა-არა, ახლა მე მისთვის მხოლოდ იდიოტი ვარ!

გუსტავი - ხო! ახლა უკვე ნამდვილი იდიოტი ხარ.

ადოლფი - მე ვიხუმრე!

გუსტავი - რა თქმა უნდა! მეც... ყველაფერ ამას კანიბალიზმი ეწოდება. იცი, ეს რას ნიშნავს? ველური ტომის ადამიანები თავიანთ მტერს ჭამდნენ, რადგან სწამდათ, რომ ასე ისინი მათ ცოდნას, გამოცდილებას და ღირსებას აითვისებდნენ! ამ ქალმა სული შეგიჭამა, შენი ცოდნა და ღირსება შეჭამა...

ადოლფი - ...ჩემი - რწმენაც! პირველი ნამუშევრის დაწერის იდეაც მე მივაწოდე...

გუსტავი - (უკვირს) ნუთუ?

ადოლფი - მაშინაც ვაქებდი ხოლმე, თუკი ნამუშევარი არ მომწონდა. ყველა ცნობილ ლიტერატურულ წრეში წარვადგინე, მერე კი ჩემივე ნაცნობების დახმარებით ვცდილობდი ყველანაერად დამეცვა კრიტიკოსთა თავდასხმისგან. მის რწმენას სულს ვუბერავდი მანამ!.. სანამ თავად არ შემეხუთა სული. მისთვის ვიღებდი ყველაფერს, ყველაფერს ვაძლევდი მანამ, სანამ თავად აღარაფერი დამრჩა! იცი, რა? ახლა ისე მინდა ყველაფრის თქმა, როგორც არასდროს, ჩემთვის „სული“ რაღაც ამოუცნობს წარმოადგენს... როცა მის სახელსა და დიდებას ჩემი არტისტული შესაძლებლობები ჩრდილავდა, საკუთარ შემოქმედებას ვაკნინებდი, ოღონდ ის გამემხნეებინა... ვცდილობდი, რომ ხელოვნებაში სრულიად მხატვრობის როლი მექცია უსაგნოდ, ოღონდ კი ჩემი ცოლის მნიშვნელობა დამემტკიცებინა აღმატებულ ხარისხში!.. საბოლოო ჯამში იქამდე მივედი, ერთ მშვენიერ დღეს ისიც კი აღმოვაჩინე, რომ თავად დამიჯერებია ფერწერის უმნიშვნელობა!.. ეს ყველაფერი უბრალოდ ბანქოს ქალაქისგან აშენებულ ხუხულას წააგავს...

გუსტავი - ერთი წუთით... თუ მეხსიერება არ მღალატობს, საუბრის დასაწყისში მარწმუნებდი, რომ ის შენგან არაფერს ითხოვდა.

ადოლფი - აღარ ითხოვს! რადგან არც აღარაფერი დამრჩა.

გუსტავი - გველი გაძღა და ახლა გულს ირევს!

ადოლფი - იქნებ, იმაზე მეტი მივეცი, ვიდრე იმსახურებდა?..

გუსტავი - დარწმუნებული იყავი. თავიდან შენ საზღვრავდი, რისი გაცემაც შეგეძლო, შემდეგ კი აღარც გეკითხებოდა, ისე გართმევდა - ამას ქურდობა ქვია.

ადოლფი - იქნებ, მას არც უცდია ჩემი აღზრდა და შეცვლა?

გუსტავი - სამაგიეროდ შენ აღზარდე და მისი ცხოვრება სრულიად შეცვალე! ამაში დარწმუნებული ვარ. საქმე იმაშია, რომ ის ისე გაიწაფა, საპირისპიროს გიმტკიცებს და უკვე საკუთარ თავში გეპარება ეჭვი. ისე, საინტერესოა, თავიდან შენს აღზრდას რა ხერხით აპირებდა?

ადოლფი - ოო!.. თავიდან...

გუსტავი - ნუ ორჭოფობ, მიდი, მიაიმე...

ადოლფი - მე ვცდილობდი...

გუსტავი - მაპატიე, მაგრამ თავად ამბობდი, რომ ის ცდილობდა...

ადოლფი - ახლა ეჭვი მეპარება...

გუსტავი - აი, ხომ ხედავ?

ადოლფი - ხო, მაგრამ... მან მე რწმენა დამაკარგვინა, ამის შემდეგ ისე დავეცი... თითქმის ფსკერამდე დავეშვი, სანამ შენ არ გამოჩნდი და სული არ შთამბერე. რწმენა ისევ გამიჩნდა!..

გუსტავი - (იღიმის) „სკულპტურას“ გულისხმობ?

ადოლფი - (გაუბედავად) დიახ...

გუსტავი - დარწმუნებული ხარ, რომ ამ ყველაფრის გჯერა? ეს ხომ აბსტრაქტული ხელოვნებაა? კაცობრიობისთვის ოდითგან მოყოლებული მოუგვარებელი სფერო! დარწმუნებული ხარ, რომ შენ შეგიძლია სამგანზომილებიან სუფთა ფორმებზე იმუშავო? გჯერა, რომ თანამედროვეობას დადებით ჭრილში განჭვრეტ და ილუზიებს არ დანებდები? გესმის, რას ვამბობ? შეძლებ ილუზიების გარეშე გჯეროდეს რამის?

ადოლფი - (დათრგუნული) ვერ შევძლებ!..

გუსტავი - ხო, მაგის არც მე მჯერა!

ადოლფი - კი, მაგრამ, მაშინ რატომ დამარწმუნე?

გუსტავი - შემეცოდე!

ადოლფი - მართალი ხარ, საცოდავი ვარ! გაღატაკებული! დამთავრებული! ყველაზე საშინელი კი. იცი, რა არის? ახლა უკვე... ისიც აღარ მყავს.

გუსტავი - ...და რაში გჭირდება?

ადოლფი - მას ჩემთვის ღმერთის არსებობა უნდა ჩაენაცვლებინა, უნდა გამხარიყო ის, რასაც ჩემთვის რელიგია წარმოადგენდა მანამ, სანამ ათეისტი გავხდებოდი - ჩემი მუდმივი ალტაცების ობიექტი!..

გუსტავი - მოეშვი ამ ალტაცებას და ეს ყველაფერი ზიზღით ჩაანაცვლე!

ადოლფი - როგორ უნდა იცხოვრო, თუ არაფერს სცემ პატივს?..

გუსტავი - მონა ხარ!

ადოლფი - ...პატივისცემის გარეშე! ქალისადმი სიყვარულის გარეშე?!

გუსტავი - მაშინ, სჯობს, შენს უწინდელ ღმერთს დაუბრუნდე, თუკი, იმ კერპის გარეშე არსებობა არ შეგიძლია, რომლის წინაშეც მუხლმოყრილი იღადადებ!.. ვერაფერს იტყვი, ჭეშმარიტი ათეისტი ყოფილხარ - ცრუმორწმუნე ათეისტი! ვის რაში არგია თავისუფლად მოაზროვნე გონი, თუკი ამ გონს უბრალოდ ქალზე ფიქრიც კი არ შეუძლია საზღვრების გარეშე?! ის მაინც თუ იცი, რაში მდგომარეობს შენი ცოლის მთელი ეს იდუმალეობა და მისი სიღრმის მოუხელთებლობა? მის სისულელეში!.. (სახესთან მიუტანს წერილს) თავად განსაზღვრე: პირდაპირი დამატება ირიბისგან ვერ გაურჩევია! თუ ფიქრობ, რომ ეს მექანიკური შეცდომაა?! მთელი მისი უბედურება ის არის, რომ ქალია. აბა, ჩააცვი შარვალი, უღვაში მიახატე და მერე მიუკერძოებლად უსმინე მის ღრმა ნააზრევს... მხოლოდ ასე თუ მიხვდები, რომ საქმე სულ სხვანაირად არის. არც მეტი, არც ნაკლები, აღმოაჩენ, რომ ჩვეულებრივი ფონოგრაფი მიიღე შენი და სხვისი სიტყვების გაწელილად მოლაპარაკე ტექსტით, რომელიც ერთსა და იმავეს

იმეორებს. შიშველი ქალი გინახავს? ალბათ, გინახავს, რა თქმა უნდა! ჩვეულებრივი მოზარდი ბიჭია ზედმეტად განვითარებული მკერდით. უდღეური, განუვითარებელი ბავშვი, ქრონიკულად ანემიური არსება, რომელიც დრო და დრო სისხლს კარგავს. წელიწადში-ცამეტჯერ, წარმოგიდგენია მაინც? ამდენს რას უნდა დევნიდეს ორგანიზმიდან?!

ადოლფი - კარგი! დავუშვათ, რომ ასეა! მაგრამ მაშინ თანასწორობის როგორღა უნდა მჯეროდეს?

გუსტავი - ეგ თავის მოტყუებაა!.. ქალის ქვედაბოლოსკენ მიზიდულობის ძალა, ეს არის და - ეს! ან, იქნებ, თქვენს შორის არსებული განსხვავება მართლაც წაიშალა და გათანაბრდით-ნიველირება! იქნებ, მისმა სისხლძარღვებმა მართლაც შთანთქა თქვენ ორის არსებობისთვის უცილობელი საჭირო სითხე?.. (საათზე დაიხედავს) უკვე ექვსი საათია ვლაცობთ! მალე შენი ცოლიც დაბრუნდება. ამიტომ, სხდომას დახურულად ვაცხადებ! ცოტა ხომ უნდა დაისვენო?!

ადოლფი - არა, არა! არ წახვიდე! მარტო დარჩენა არ მინდა! მეშინია...

გუსტავი - მხოლოდ რამოდენიმე წუთით დაგტოვებ... მერე კი შენი ცოლიც მოვა...

ადოლფი - უცნაურია, ადამიანი გენატრებოდეს და ამავდროულად მისდამი შიშსაც გრძნობდე. ის ისეთი ნაზი და მგრძნობიარეა ჩემს მიმართ, მაგრამ მისი კოცნა თითქოს მახრჩობს, ძალას მაცლის, მანადგურებს! იმ საცოდავ, პატარა ბიჭს ვგავარ, ცირკის კულისებში მასხარა მთელი ძალით რომ ჩქმეტს, რათა შემდეგ მაყურებელს ხელოვნურად აწითლებული ლოყებით წარუდგინოს.

გუსტავი - როგორ მეცოდები, ჩემო მეგობარო! ექიმი არ ვარ, მაგრამ შემიძლია დარწმუნებით გითხრა, რომ სიკვდილის პირას იმყოფები! ამისათვის ისიც საკმარისია, ადამიანმა შენი ბოლოდროინდელი ნამუშევრები იხილოს...

ადოლფი - ასე ფიქრობ?..

გუსტავი - ფერები წყალწყალა, უფერული და ბუნდოვანია, მათგან ისეთი მომაკვდინებელი სიყვითლე გამოსჴვივის, თითქოს შენს ჩაცვნილ, ცვილისფერ ლოყებს ხედავდეს კაცი...

ადოლფი - გეყოფა! საკმარისია!..

გუსტავი - ასე მხოლოდ მე არ ვფიქრობ... დღევანდელი გაზეთი წაიკითხე?

ადოლფი - საშინელებაა!.. არა.

გუსტავი - მაგიდაზე დევს.

ადოლფი - (გაზეთისკენ გაიწევეს, მაგრამ მის ალებას არ ჩქარობს) აქაც იგივეს წერენ?

გუსტავი - თავად ნახე! თუ მე წაგიკითხო?

ადოლფი - არა!

გუსტავი - უმჯობესი ხომ არ იქნება, რომ ჯერ გავიდე?..

ადოლფი - არა, არა, არა! არ ვიცი... მგონი, ერთდროულად მეზიზღები და თან უშენობაც აღარ შემიძლია! თითქოს იმ ჭაობიდან ამოძვრომაში მეხმარები, სადაც აქამდე ვიყავი, მაგრამ, როგორც კი ნაპირზე ამოვხობდები, თავში მირტყამ გამეტებით და ისევ უკან მისვრი - დასახრჩობად მიმეტებ! სანამ საკუთარ საიდუმლოებებს ჩემში ვინახავდი, ვგრძნობდი, რომ ვარსებობდი. ახლა კი ცარიელი ვარ... იცი, ერთი იტალიელი მხატვრის ნამუშევარზე წამების სცენაა გამოსახული: ირგვლივ რომელიღაც წმინდანის ამოყრილი შიგნეულობა ყრია. მიწაზე გართხმული ადამიანი თვალს ადევნებს საკუთარ წამებას და ხედავს, რომ რაც უფრო მსუბუქდება შინაგანად, მით მეტად უმძიმდება ფეხები - სმიწას ეჯახება!.. ისეთი შეგრძნება

მაქვს, თითქოს ჩემს ხარჯზე გაძლიერდი, გეგონება, მიდიხარ და ჩემი შინაგანი სამყარო თან მიგაქვს, მე კი მხოლოდ ჩემივე გარსი მიტოვებ...

გუსტავი - ფუჭი წარმოსახვაა! ახლა შენი ცოლი მოვა და გულს საგულეში დაგიბრუნებს!

ადოლფი - ეგ მანამდე იყო შესაძლებელი, სანამ შენ გაანადგურებდი მას! ყველაფერს ბოლო მოუღე - ჩემს შემოქმედებას, ჩემს სიყვარულს, იმედს... ჩემს რწმენას.

გუსტავი - ეს ყველაფერი ჩემამდე მოხდა!

ადოლფი - დიახ! თუმცა რაღაცის იმედი მაინც არსებობდა! ახლა კი გვიანია! შენ მკვლელი ხარ!

გუსტავი - გეყოფა, ჩვენ ტყე დავწვით, რომ სახნავად მიწა გვქონოდა! ახლა კი ფერფლს დავთესთ!

ადოლფი - მეზიზღები! წყეულიმც იყავ!

გუსტავი - ეს კარგის ნიშანია! ესეიგი, ჯერ კიდევ გქონია ძალა! ფეხზე წამოდგომაში დაგეხმარები! თანახმა ხარ, ყველაფერში დამემორჩილო?

ადოლფი - რაც გინდა, ის ქენი! მხოლოდ ეგლა დამრჩენია...

გუსტავი - (წამოდგება) შემომხედე...

ადოლფი - ისევ სხვანაერად მიყურებ და ეგ მზერა რაღაცნაერად მიზიდავს...

გუსტავი - მისმინე!

ადოლფი - კარგი... მაგრამ საკუთარ თავზე ილაპარაკე!.. ჩემს პიროვნულობას ნულარ შეეხები. შეუხორცებელ იარასავით ვარ და კიდევ ერთ შეხებას ველარ გადავიტან!

გუსტავი - კარგი. საკუთარ თავზე გაიმბო? მე მკვდარი ენების პედაგოგი ვარ და - ქვრივი... სულ ეს არის... ხელი მომკიდე!

ადოლფი - რა შემზარავი ძალა გაქვს, ელექტრონულ დარტყმასავით!..

გუსტავი - წარმოგიდგენია, რომ ოდესღაც მეც შენსავით სუსტი და უმწეო ვყოფილიყავი?.. წამოდექი!

ადოლფი - (წამოდგომისას გუსტავს მხრებზე ეყრდნობა) ავადმყოფი ბავშვივით ვარ. თითქოს ძვლები დამირბილდა... ტვინი სრულიად გამიშვლდა!..

გუსტავი - ოთახში გაიარ - გამოიარე!

ადოლფი - არ შემიძლია!

გუსტავი - გაიარე მეთქი! მიდი, თორემ დაგარტყამ!

ადოლფი - (წელში იმართება) რა მითხარი?

გუსტავი - გითხარი, გაიარე, თორემ, გცემ მეთქი!

ადილფი - (ნაბიჯით უკან გადახტება) შენი!..

გუსტავი - ბრავო!, აი, ასე. სისხლი თავში აგივარდა და შეგრძნებებმაც გაიღვიძეს! ახლა ელექტრონული მუხტი გვჭირდება! სად არის შენი ცოლი?

ადოლფი - ჩემი ცოლი?..

გუსტავი - ხო, შენი ცოლი!

ადოლფი - რაღაც შეკრებაზე გაემგზავრა...

გუსტავი - დარწმუნებული ხარ?

ადოლფი - სრულიად.

გუსტავი - რა შეკრებაა?

ადოლფი - საქველმოქმედო, უსახლკარო ბავშვებთან დაკავშირებით...

გუსტავი - მეგობრებად დაშორდით ერთმანეთს?

ადოლფი - (პასუხს აყოვნებს) არა... მეგობრებად-არა...

გუსტავი - ესეიგი-მტრებად! შეურაცყოფა მიაყენე?

ადოლფი - შემზარავი ადამიანი ხარ! შენი მეშინია! როგორ მიხვდი?

გუსტავი - ადვილად! თუ სამი რამ ფაქტი მაინც ვიცი ხოლმე, მაშინვე გამოვიცნობ იმას, რაც ჯერ არ ვიცი! ასეთი რა უთხარი?

ადოლფი - მხოლოდ ორი სიტყვა... ორი საშინელი სიტყვა და ისე ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ!

გუსტავი - ნუ წუხხარ! გააგრძელე!

ადოლფი - „ბებერი კეკლუცი“ ვუწოდე!

გუსტავი - შემდეგ?

ადოლფი - სხვა არაფერი მითქვამს!

გუსტავი - ტყუილია, დაწვრილებით გაიხსენე... იქნებ, დაგავიწყდა, უფრო სწორად, გახსენებაც კი არ გინდა. ეს ყველაფერი საიდუმლო კუნჭულში გადამალე, არა? გაიხსენე!

ადოლფი - არაფერი მახსოვს!

გუსტავი - კარგი, მე გაგახსენებ. შენ მას მიახლოვებით ასე უთხარი: „არ გრცხვენია, რაღა დროს შენი კეკლუცობაა? შენს ასაკში კაცებს ველარ შეაბამო!“

ადოლფი - ეს მე ვუთხარი? მე ამას არ ვეტყვოდი! ... და საერთოდ, შენ საიდან უნდა იცოდე ამის შესახებ?

გუსტავი - როცა მე გემით მოვემგზავრებოდი აქეთ, გემბანზე მოვისმინე ეს ამბავი!

ადოლფი - ვისგან?

გუსტავი - მისგან! თავის ოთხ ახალგაზრდა თანამგზავრს უამბობდა... რას იზამ? როგორც ყველა მის ასაკში მყოფი, ისიც ახალგაზრდებისკენ ილტვის!

ადოლფი - ჩემი აზრით, ეს დანაშაულად არ ითვლება!..

გუსტავი - ხო, ოღონდ ეს და- ძმობანას თამაშს ჰგავს მაშინ, როცა სინამდვილეში ცოლ-ქმრობანა უფრო შეგეფერება.

ადოლფი - ესეიგი, შენ ის ნახე?..

გუსტავი - რა თქმა უნდა... მას ყოველთვის შენი თანდასწრებით ხედავდი, არა? უშენოდ, ჩუმიად არ გითვალთვალია მისთვის?.. ამიტომაც არის, რომ ქმარი ცოლს ვერასოდეს ამოიცნობს. მისი ფოტო გაქვს? (ადოლფი საფულიდან ცოლის ფოტოს ამოიღებს, გუსტავი ფოტოს დასცქერის) გადაღებისას მის გვერდით არ იყავი, არა?

ადოლფი - არა.

გუსტავი - მოდი, ყურადღებით დავაკვირდეთ!.. ჰგავს ეს ფოტო მის იმ პორტრეტებს, შენ რომ დაგიხატავს? რა თქმა უნდა - არა! იგივე ნაკვთებია, მაგრამ სულ სხვაგვარი გამომეტყველებით... ამას ვერაფერს მოვუხერხებთ, რადგან ხატვისას მის პორტრეტს საკუთარი წარმოსახვით ქმნი შენდაუნებურად. აბა, დაივიწყე ორიგინალი და ისე დააკვირდი ამ ფოტოს, კარგად დააკვირდი, როგორც მხატვარი... რას აღმოაჩენ? მე აქ მხოლოდ ერთ კეკლუც არსებას ვხედავ. აი, აქ, ტუჩთან ჩაკეცილ ირონიულ ნაოჭს მიაქციე ყურადღება... ადრე შეგიმჩნევია? მზერა?... ამ გამოხედვით ის მამაკაცს იწვევს და რა თქმა უნდა, ამ მამაკაცში შენ არ იგულისხმევი... ღრმად ამოჭრილი გულისპირი - როგორი დეკოლტეა, ეს ხვეულები, შიშველი მკლავები!.. ხედავ?

ადოლფი - დიახ, დიახ... ახლა უკვე ყველაფერს ვხედავ!

გუსტავი - ხოდა, მეტი სიფრთხილე გმართებთ, ახალგაზრდავ!

ადოლფი - რას უნდა ვუფრთხოდე, თქვენი აზრით?

გუსტავი - მის შურისძიებას! გაიხსენე, როგორ შეურაცყავი, როცა იმას შეეხე, რაც მისთვის შეუბღალავი უნდა ყოფილიყო - შენ მას პირდაპირ უთხარი, რომ თავყვანისმცემლებზე აღარც კი უნდა იოცნებოს! ოო!.. მის რომელიმე ლიტერატურულ ნაშრომზე ამაზე უარესიც რომ გეთქვა, ის უბრალოდ სახეში შემოგცინებდა და მოგახლიდა, რომ არაფრის აზრზე არ ხარ... ამ შემთხვევაში კი, დამიჯერე, ჯერ თუ საკადრისი პასუხი არ მიგიღია, მხოლოდ იმიტომ, რომ ხელსაყრელ დროს ელის, ჩასაფრებულა, მეგობარო...

ადოლფი - როგორმე უნდა...

გუსტავი - გაუმკლავდე!..

ადოლფი - გავუმკლავდე?

გუსტავი - ხო, კვალში ჩაუდექი! გინდა, დაგეხმარო?

ადოლფი - ადრე იქნება, თუ - გვიან... სულერთია... რა უნდა ვქნა?

გუსტავი - უკაცრავად, მაგრამ... უპირველეს ყოვლისა უნდა დავადგინოთ, აქვს, თუ - არა შენს ცოლს განსაკუთრებული სისუსტე რაიმეს მიმართ?

ადოლფი - ძალიან ცოტა... კატასავით სიცოცხლისუნარიანია!

გუსტავი - აი, გემიც უახლოვდება ნავსადგურს! სულ ცოტაც და ის აქ იქნება.

ადოლფი - ესეიგი, დროა წავიდე მის დასახვედრად!

გუსტავი - პირიქით, არ წახვიდე! ემოციის გარეშე უნდა შეხვდე! თუკი სინდისი სუფთა აქვს, ამის გამო სცენებს მოგიწყობს, საყვედურებს დაგატეხს თავს... და თუ ოდნავ მაინც დამნაშავეა რამეში, თბილი და ალერსიანი შეხვედრა გელის!

ადოლფი - დარწმუნებული ხარ?

გუსტავი - რა თქმა უნდა, ყველაფერში დარწმუნებული ვერ იქნები... მოგეხსენება, კურდღელი გზა-კვალის ასაზნეავად წრეზე დარბის... მაგრამ ჩემი გაცურება არ არის ადვილი საქმე... ოთახი აქვე მაქვს! (სავარძლის უკან მიუთითებს, მარჯვენა მხარეს). იქიდან ვადევნებ თვალ-ყურს, როგორ გაითამაშებს კომედიას. შემდეგ ადგილები გავცვალოთ, მერე მე შევალ გველთან გალიაში და მასზე დაკვირვებებს თავად ვაწარმოებ, შენ კი გასალების ჭუჭრუტანიდან გვიყურე. ბოლოს საუზმედ ერთმანეთს ბაღში შევხვდეთ. ოღონდ შემიპირდი, რომ საკუთარი

თავის მართვას შეძლებ! გახსოვდეს, თუკი შევამჩნევ, რომ საქმეს ვერ უმკლავდები, სკამს ორჯერ დავახეთქებ იატაკზე!

ადოლფი - კარგი! ოღონდ შორს არ წახვიდე, მე დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ აქვე, ახლოს ხარ!

გუსტავი - ნუ ღელავ! რაც არ უნდა მოხდეს, ნურაფრის შეგეშინდება. მალე თავად იხილავ, როგორ შემოდის ადამიანის სულის განკურნება. გარეშე პირისთვის ეს ცოტა რთულად აღსაქმელია, მაგრამ ერთხელ მაინც უნდა იხილოს კაცმა საკუთარი თვალით... არ ინანებ!.. გახსოვდეს, ჩვენს ნაცნობობაზე სიტყვა არ დაგცდეს მასთან! გესმის?! თვითონ მივაგნებ მის სისუსტეს! უკვე თავის ოთახშია!.. რაღაცას ღლინებს!.. ესეიგი, წყობიდან არის გამოსული. აქ დაჯექი... ამ სკამზე და მას ძალაუნებურად ჩემს ადგილზე მოუწევს დაჯდომა, ამ შემთხვევაში ორივეს კარგად დაგინახავთ.

ადოლფი - სადილობამდე მთელი საათია... ახალი სტუმრები არ ჩამოსულან... ზარი არ დაურეკავთ... საუბედუროდ, მხოლოდ ჩვენ ვიქნებით, მარტო...

გუსტავი - როგორც ვატყობ, უკვე სისუსტეს იჩენ...

ადოლფი - ყურადღებას ნუ მომაქცევ... არა, დიახ... იმის მეშინია, რაც ახლა მოხდება და მიუხედავად ამისა, მაინც ვერ შევაჩერებ იმას, რაც უნდა მოხდეს. ზვავი დაიძრა და ის ბევრი რამის შედეგია!

გუსტავი - დაიძრას, თუ ამას სიმშვიდე მოჰყვება! შეხვედრამდე... (გადის).

ადოლფი რამოდენიმე ხანი უძრავად დგას და თეკლას ფოტოს დასცქერის, რომელიც ხელში ეჭირა აქამდე, შემდეგ ფოტოს ხევს და მის ნაკუწებს მაგიდის ქვეშ ყრის. სკამზე ჯდება, ჰალსტუხს, თმასა და ქურთუკის საყელოს ისწორებს.

თეკლა - (შემოდის და პირდაპირ ადოლფისკენ მიემართება. გულიანად კოცნის, თავაზიანია და მზიარულად საუბრობს) აბა, როგორ არის ჩემი პატარა ძამიკო?

ადოლფი - (თითქმის დამარცხებულია, მაგრამ თავის შეკავებას ახერხებს და ხუმრობას ცდილობს) რადგან მკოცნი, ესეიგი, რაღაც დააშავე!..

თეკლა - ვალიარებ, დამნაშავე ვარ! მთელი შენი ნაშრომი დავხარჯე!

ადოლფი - კარგად გაერთე მაინც?

თეკლა - ძალიან! რა თქმა უნდა, საქველმოქმედო შეკრებაზე - არა, რადგან იქ წარმოუდგენელი მოწყენილობა სუფევდა... აბა, ჩემი საყვარელი ძამიკო რით იყო დაკავებული, სანამ მისი მტრედი ბუდისგან მოშორებით დანავარდობდა? (ყველა კუთხე-კუნჭულს ათვალიერებს, თითქოს რაღაცის, ან ვიღაცის აღმოჩენას ცდილობს).

ადოლფი - მხოლოდ და მხოლოდ - მოწყენილობით!

თეკლა - სრულიად მარტო?

ადოლფი - სრულიად.

თეკლა - (ადოლფს შესცქერის, მერე სარწევლა სავარძელში ჯდება) აქ ვინ იჯდა?

ადოლფი - მანდ?.. არავინ!

თეკლა - უცნაურია! რატომღაც თბილია... სახელურიც... ქალის ხელი იდო? ხო, არა?

ადოლფი - იმედი მაქვს, ხუმრობ...

თეკლა - გამოგიჭირე! გაწითლდი, გაწითლდი! ჩემი გასულელება გინდოდა, ძამიკო? დამდე პატივი და ახლავე ჩააბარე აღსარება საკუთარ ცოლს - აღიარე ცოდვები!.. (თავისკენ იზიდავს, ადოლფი იხრება და თავს კალთაში უდებს ქალს).

ადოლფი - (ილიმის) იცი, რომ პატარა ჭინკა ხარ?!

თეკლა - არა, საიდან? საკუთარ თავს თითქმის არ ვიცნობ!..

ადოლფი - შენ არასოდეს ფიქრობ საკუთარ თავზე!

თეკლა - (დაეჭვებული ადევნებს თვალ-ყურს) მე? მე ხომ მხოლოდ საკუთარ თავზე ვფიქრობ... საშინელი ეგოისტი ვარ. ფილოსოფოსობა დაიწყე?

ადოლფი - აბა, ერთი გადამისვი თავზე ხელი!..

თეკლა - (ბავშვით) მგონი, ისევ გაჩენილან ჭიანჭველები. ახლავე უნდა გავყაროთ... მეთანხმები? (შუბლზე კოცნის) აბა... ასე უკეთესია?..

ადოლფი - რა თქმა უნდა... (სიჩუმე).

თეკლა - ახლა კი კეთილი ინებე, ძამიკო და მიაბე, რას საქმიანობდი ჩემს არყოფნაში? ხატავდი?

ადოლფი - არა, ხატვას თავი დავანებე.

თეკლა - რას ნიშნავს, ხატვას თავი დაანებე?

ადოლფი - აი, ასე, დავანებე... და ნუ შევექმნით ახლა ამისგან პრობლემას! რას ვიზამთ? უბრალოდ, ხატვის ძალა აღარ შემწევს!

თეკლა - კარგი და ახლა რას აპირებ?

ადოლფი - ქანდაკებაზე ვიმუშავებ...

თეკლა - ესეც ახალი ფანტაზია!..

ადოლფი - შესაძლოა... მაგრამ ასეთი გაბრაზებული ნუ მიყურებ... აბა, ეს ნახე!..

თეკლა - (ცვილის ფიგურას გადახსნის ნაჭერს) ოხ! (კეკლუცად) ვინ არის ეს?.. ქალბატონი?

ადოლფი - გამოიცანი!

თეკლა - (ნაზად) იქნებ, შენი ცოლია?.. არ გრცხვენია?

ადოლფი - გავს?

თეკლა - (გამომცდელად) საიდან უნდა ვიცოდე? სახე ჯერ არ აქვს!

ადოლფი - სამაგიეროდ, უკვე ბევრი რამ რამ აქვს გამოკვეთილი... ლამაზია!..

თეკლა - (ალერსიანად ეფერება ლოყაზე) ახლავე თუ არ მოკეტავთ, მე თქვენ გაკოცებთ!

ადოლფი - (თავს იცავს) არა, არა! ოღობდ ეს - არა!.. ვინმე რომ შემოვიდეს!..

თეკლა - რა ხდება? დავიჯერო, ისიც დანაშაულია, რომ ცოლმა ქმარს აკოცოს? ვფიქრობ, ეს ჩემი კანონიერი უფლებაა!

ადოლფი - მაგრამ... შენ ჯერ არ იცი... აქ, სასტუმროში კანონიერ ცოლ-ქმრად არ გვთვლიან სწორედ იმიტომ, რომ ასე ხშირ-ხშირად ვკოცნით ერთმანეთს! და კიდევ უფრო მეტად

რწმუნდებიან ამ თეორიის სისწორეში, როცა ხანდახან ჩვენი ოთახიდან ჩხუბის ხმაც გადის... ასე ხომ საყვარლები იქცევიან?!

თეკლა - ხოდა, საერთოდ რატომ ვჩხუბობთ ხოლმე? არ შეიძლება, რომ ძამიკო ყოველთვის ასეთი საყვარელი იყოს, როგორც ახლათ? მითხარი, დავიჯერო, არ გამოგივა? არ გინდა, რომ ბედნიერები ვიყოთ?

ადოლფი - მინდა... მაგრამ...

თეკლა - ახლა რაღა ხდება? და საერთოდ... ვინ მოგახსენა, რომ ხატვა აღარ შეგიძლია?

ადოლფი - ვის უნდა?.. რატომ გგონია ყოველთვის, რომ ჩემი ნააზრევის უკან ვინმე სხვა დგას?! ეჭვიანი ხარ!

თეკლა - დიახ, ეჭვიანი ვარ! ხო, სულ ვშიშობ, ერთხელაც ვინმე არ გამოხტეს და შენი თავი არ წამართვას!

ადოლფი - რატომ უნდა გაგჩენოდა ამის შიში, როცა მშვენივრად იცი, რომ ვერცერთი ქალი ვერ აღგმოფხვრის ჩემში და რომ მე უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია...

თეკლა - მე ქალების კი არა, შენი მეგობრების უფრო მეშინია, რადგან ვხედავ, როგორი მონდომებით ცდილობენ შენი აზროვნების შეცვლას!..

ადოლფი - (გამომცდელად) ესეიგი, მართლა გეშინია? და უფრო კონკრეტულად - რის გეშინია?

თეკლა - (წამოდგება) აქ ვიღაც იყო!.. ვინ იყო?

ადოლფი - (შეამჩნევს თეკლას აღელვებას) შენ, მგონი, ჩემს მზერას ვერ უძლებ...

თეკლა - მართალი ხარ, ასეთს - ვერ! ასე არასდროს შემოგიხედავს ჩემთვის...

ადოლფი - ...და როგორ გიყურებ?

თეკლა - თითქოს გინდა, რომ შიგნიდან დამათვალიერო!..

ადოლფი - შიგნიდან?!. დიახ! სულში მინდა ჩაგხედო!

თეკლა - მიყურე, რამდენიც გინდა! მე არაფერი მაქვს დასამალი... შენი საუბრის მანერა... გამოხედვაც კი სხვაგვარი გაქვს!.. (შეშინებული შესცქერის) ფილოსოფოსობაც დაიწყე... (შეტევაზე გადადის) ვინ იყო აქ?!

ადოლფი - ჩემი ექიმი.

თეკლა - შენი ექიმი... ეგ - რომელი?

ადოლფი - ექიმი სტრემშტადიდან.

თეკლა - სახელი და გვარი არ აქვს შენს ექიმს?

ადოლფი - ექიმი შებერგი.

თეკლა - და რაო, რა გითხრა მერე შენმა ექიმმა შებერგმა?

ადოლფი - ბევრი რამ! სხვათაშორის, აღმოჩნდა, რომ გულყრისკენ მაქვს მიდრეკილება...

თეკლა - სხვათაშორის?.. გასაგებია და კიდევ რა გითხრა?

ადოლფი - კიდევ ერთი არასასიამოვნო ამბავიც მითხრა!..

თეკლა - ხო, მიდი, მითხარი, აბა, რაო?!

ადოლფი - დროებით ცოლ - ქმრული მოვალეობის შესრულებაც ამიკრძალა.

თეკლა - აჰა! აი, თურმე - რა! ხედავ, თურმე, ტყუილად არ ვშიშობდი! ისედაც დიდი ხანია ვამჩნევ, რომ ჩვენი დაშორება უნდა ყველას...

ადოლფი - იმას, რაც არ ყოფილა, ვერ შეამჩნევდი.

თეკლა - ასე ფიქრობ?

ადოლფი - დიახ, ვერ შეამჩნევდი იმას, რაც ბუნებაში არ არსებობს. ეგ შიშია, შენს ფანტაზიას ამოსუნთქვის საშუალებას რომ არ აძლევს. რის გეშინია? იმის ხომ არა, რომ ოდესმე სხვის თვალეზს ვითხოვებ და დაგინახავ ისეთს, როგორც სინამდვილეში ხარ?

თეკლა - ადოლფ, გირჩევ, საკუთარი ფანტაზია როგორმე შეაკავო!.. ის მართლა ჩასაფრებული ცხოველივით არის ადამიანის სულში...

ადოლფი - ვინ? ეს აზრი საიდან გაჩნდა შენს თავში? იმ უცოდველ ახალგაზრდებს ხომ არ დაესესხე, გემბანზე შენს ირგვლივ რომ ირეოდნენ ბუზებივით?!

თეკლა - (სიმშვიდეს ინარჩუნებს) სრულიად გეთანხმები!.. ახალგაზრდებისგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება!..

ადოლფი - მგონი, ამ ბოლო დროს ახალგაზრდები იმაზე მეტად შეგიყვარდნენ, ვიდრე - აქამდე!..

თეკლა - მე ყოველთვის მიყვარდა ახალგაზრდობა, ამიტომაც შეგიყვარე შენ!.. შენი აზრით, ეს დანაშაულია?

ადოლფი - არა!.. მაგრამ მე სრულ სიმარტოვეში ვგრძნობდი თავს!

თეკლა - (მოფერებით და - ცოტა გამომწვევად) ხომ იცი, ძამიკო, იმხელა გული მაქვს, კიდევ ბევრს დაიტევს...

ადოლფი - ოღონდ შენს ძამიკოს არანაერი სურვილი არ აქვს, კიდევ სხვა ძამიკოებიც ჰყავდეს.

თეკლა - მოდი ახლა შენს ცოლთან... ყური უნდა აგწიო, ასეთი ექვიანი რატომ ხარ?.. (ამ დროს გვერდით ოთახიდან იატაკზე სკამის ორჯერ დარტყმის ხმა ისმის).

ადოლფი - არა, მე არ ვხუმრობ! სრულიად სერიოზულად ვამბობ იმას, რასაც ვამბობ!..

თეკლა - (ბავშვივით) ღმერთო ჩემო! გვინდა, რომ სერიოზულები ვიყოთ! რა საშინელებაა, სერიოზული ბიჭი რომ გახდი! (თავზე კოცნის) აბა, მოდი, გავიღიმოთ! მიდი რა, გაიღიმე!..

ადოლფი - (არ უნდა, მაგრამ ეცინება) აბა, ახლა ეს ჯადოქარი არ არის?.. არა, მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ მისტიკურ ძალას ფლობ!..

თეკლა - მითუმეტეს, მაშინ რა აზრი აქვს ჩემნაერ ადამიანთან ბრძოლას, თუ ჯადოქარი გგონივარ?

ადილფი - (დგება) თეკლა! შეგიძლია, ცოტა ხნით ასე დაჯდე?.. მინდა, შენი სახე გამოვძერწო პროფილში!..

თეკლა - დიდი სიამოვნებით! (ჯდება).

ადოლფი - (დაჟინებით ჩააცქერდება და ისე იქცევა, თითქოს მუშაობს) ჩემზე ნუ ფიქრობ! სხვა ვინმეზე იფიქრე!

თეკლა - კარგი!.. მაშინ ჩემს სულ ახლანდელ „გამარჯვებაზე“ ვიფიქრებ!

ადოლფი - გასაგებია, ესეიგი, იმ გონებაგახსნილ ახალგაზრდაზე იფიქრებ?!

თეკლა - დიახ, დიახ, სწორედ მასზე! ისეთი დიდებული უღვაში და ღინღლით დაფარული ატმისფერი ღაწვები ქონდა, ჩაკბეჩვა მოგინდებოდა ადამიანს!..

ადოლფი - (მოიღუშა) ეგრე დარჩი... ტუჩთან ეგ ნაოჭი მინდა დავიჭირო!

თეკლა - რომელი ნაოჭი?!

ადოლფი - აი, ეგ უსირცხვილოდ ცინიკური ნაოჭი, რომელიც აქამდე საერთოდ არ შემიმჩნევია!

თეკლა - (მიმიკას ცვლის) ეს ხომ არა?..

ადოლფი - სწორედ ეგ! იცი, ბრეტ გარტს მრუშობა როგორ წარმოუდგენია?

თეკლა - (იცინის) არა! არ მაქვს პატივი, საერთოდ რომ ვიცნობდე ამ ბატონს!

ადოლფი - მას ის ფერმკრთალ ქალად აღიქვამს, რომელიც არასდროს არაფერზე წითლდება!

თეკლა - არსდროს - არაფერზე?! ტყუილია! ყველა ქალი წითლდება... როცა საკუთარ საყვარელს ხედავს! ესეიგი, ამ შემთხვევაში ვერც ქმარი და ვერც ეგ შენი ბატონი ბრეტი ამას ვერ დაინახავდნენ, ამიტომაც ჰგონია ასე.

ადოლფი - დარწმუნებული ხარ?..

თეკლა - (იმავე განწყობით) სრულიად! თუ ქმარი ვერ ახერხებს სისხლი აუდულოს ცოლს, მას ამ გასაოცარი სანახაობის ხილვის უფლება ჩამორთმეული აქვს!

ადოლფი - (განრისხებული) თეკლა!

თეკლა - ჩემო სულელო...

ადოლფი - თეკლა!..

თეკლა - აბა, მითხარი, „ჩემო ჩიტუნია“ და ნახავ, მაშინვე თუ არ გავწითლდები! მიდი, აბა, სცადე...

ადოლფი - (ფარ-ხმალს ყრის) იქამდე მიმიყვანე, რომ მზად ვარ, გიკბინო!..

თეკლა - (ცელქობს) სხვა რა გზა მაქვს?.. მიდი!.. მიკბინე!.. (ხელებს გაუწვდის).

ადოლფი - (დაიჭერს და კისერს უკოცნის ვნებამორეული) აი, შენ!.. აი... ჩაკბეჩე, თუ არა?! სიკვდილამდე ვერ გავძლები!..

თეკლა - (ხუმრობით) ჩუმად!.. მოდიან!

ადოლფი - არავინ მაინტერესებს, სანამ შენ მყავხარ!..

თეკლა - ...და რომ აღარ გყავდე?

ადოლფი - მოვკვდები!

თეკლა - (ირონიულად) თუმცა, სანერვიულო ისედაც არაფერი გაქვს! აბა, ჩვენ - „ბებერ კეკლუცებს“, საიდან თაყვანისმცემელთა არმია?!

ადოლფი - გეყოფა! ეს ჩემი უაზროდ წამოსროლილი სიტყვები კიდევ გახსოვს? ბოდიშს გიხდი!

თეკლა - არა, ამიხსენი, როგორ შეგიძლია ასე გჯეროდეს ჩემი და თან ასე ეჭვიანობდე?!

ადოლფი - აგიხსნა?.. არა... არ შემიძლია! იქნებ, ის აზრი არ მასვენებს, რომ ჩემამდე სხვას ეკუთვნოდით?! ჩვენი სიყვარული ჩემთვის პოეზიასავით არის, მაშველი რგოლივით, ჩვენი ვნება კი ღირსების საკითხად იქცა. გულს მიხეთქავს იმის გაფიქრებაც კი, რომ ჩემი შესაძლო

უბედურება „მისთვის“ რომ გახდეს ოდესმე ცნობილი!.. მე ის არასდროს მინახავს!.. მაგრამ ფიქრი იმაზე, რომ სადღაც არსებობს ადამიანი, რომელიც გამუდმებით ჩემს გაუბედურებას ელის, ბოლოს მიღებს! თითქოს წყევლასავით მესმის მისი ხარხარი, როცა წარმოვიდგენ, როგორ გაიხარებს, ჩემთან რომ აღარ იყო! ეს ყველაფერი გულზე ცუდი სიზმარივით მაწევს და შენსკენ მიბიძგებს!..

თეკლა - ...და შენ ფიქრობ, რომ მე მას ამ სიამოვნებას არ მოვაკლებ?..

ადოლფი - არა! ამაზე ფიქრიც არ მინდა!

თეკლა - გამაგებინე, მაშ, ასე რატომ ღელავ?

ადოლფი - ვერ ვმშვიდდები... შენი მუდმივად კეკლუცობა მტანჯავს!.. აუცილებელია, რომ ყოველთვის ასე თამაშობდე?

თეკლა - სულაც არ ვთამაშობ! მინდა, რომ ყველასთვის სასურველი ვიყო - ეს არის და ეს!..

ადოლფი - ხო, მაგრამ აუცილებელია - მამაკაცებისთვის?!

თეკლა - რა თქმა უნდა!.. მე ისიც არ ვიცი, ერთ ქალს მეორე ქალი რატომ უნდა მოსწონდეს?

ადოლფი - მითხარი, მის შესახებ ბოლოს როდის გშიტყვე რამე?

თეკლა - ექვსი თვის უკან...

ადოლფი - ...და შენ მასზე არასოდეს ფიქრობ?

თეკლა - არასოდეს! ბავშვის სიკვდილის შემდეგ საერთოდ გავწყვიტეთ ურთიერთობა...

ადოლფი - და მას შემდეგ არასდროს შეხვედრიხარ?

თეკლა - არა... თუმცა, ის, შესაძლებელია, აქვე, ახლომახლოს ცხოვრობდეს... გამაგებინე, რატომ დაიწყე ამაზე ფიქრი?..

ადოლფი - არ ვიცი, მაგრამ ეს დღეები, მარტო რომ დავრჩი, გამუდმებით მასზე ვფიქრობდი. ალბათ, როგორ იტანჯებოდა, როცა შენ ის მიატოვე...

თეკლა - მესმის შენი... სინდისის ქენჯნა...

ადოლფი - დიახ!

თეკლა - გეჩვენება, რომ შენ მას მოპარე...

ადოლფი - მიახლოვებით!..

თეკლა - რა საყვარელი ხარ!.. ბავშვი ხომ არ ვარ, ან - ქათამი? ქალი როგორ უნდა მოპარო ადამიანს? თუ რაიმე „მოძრავ“ ქონებად აღმიქვამ, დიდად გმადლობ!..

ადოლფი - არა, მე შენ მის ცოლად აღგიქვამ! ეს კი საკუთრებაზე მეტს ნიშნავს! ამას ვერაფრით ავანაზღაურებ!

თეკლა - ვინმეს რომ ეთქვა, რომ ცოლი მოიყვანა?.. მე ხომ შენ მყავხარ მის მაგივრად?..

ადოლფი - მის მაგივრად?.. ხომ გიყვარდა ის კაცი?!

თეკლა - კი, მიყვარდა...

ადოლფი - და მაინც...

თეკლა - თავი მომაბეზრა!..

ადოლფი - აი, მეც სწორედ მანდ ვარ... ხომ შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს მეც მოგაბეზრო თავი?!

თეკლა - არა, ეგ არ მოხდება...

ადოლფი - გამოჩნდება ვიღაც, რომელშიც ისეთ თვისებებს აღმოაჩენ, შენ რომ გხიბლავს მამაკაცში... და მიმატოვებ!

თეკლა - არა!

ადოლფი - თუ ისე მოგხიბლავს, რომ არჩევანის წინაშე აღმოჩნდები, რა თქმა უნდა, მე მიმატოვებ, არა?..

თეკლა - ეს არ ნიშნავს იმას, რომ...

ადოლფი - რას? აბა, ორი მამაკაცი ხომ არ გეყვარება ერთდროულად?

თეკლა - რატომაც - არა?..

ადოლფი - ამის წარმოდგენაც კი მიჭირს!

თეკლა - თუმცა, ეს ყველასთვის წარმოუდგენელი არ არის...

ადოლფი - აი, ახლა კი ნელ - ნელა ჩემთვის უკვე გასაგები ხდება...

თეკლა - რას მეუბნები? ნუთუ მართლა?!

ადოლფი - შენ წარმოიდგინე, მართლა!.. (სიჩუმე. ადოლფი დაძაბული ცდილობს რაღაცის გახსენებას) თეკლა! შენი გულახდილობა უკვე ძალიან მიშლის ნერვებს...

თეკლა - უკვე? გეგონება, ადრე ძალიან აფასებდი ჩემს ამ თვისებას?! თუ ეს „სათნოებაც“, გგონია, რომ შენ გამომიმუშავე ხასიათის თვისებებში?

ადოლფი - დიახ, მაგრამ, ახლა მგონია, ამ გულახდილობით რაღაცის გადაფარვას ცდილობ!..

თეკლა - ხო, რა თქმა უნდა, ეს ხომ საკითხისადმი ახალი მიდგომაა ჩემის მხრიდან!

ადოლფი - არ ვიცი, რატომ, მაგრამ აუტანელ შფოთვისას ვგრძნობ!.. გინდა, დღესვე დავბრუნდეთ სახლში?!

თეკლა - კარგი რა, ეს რა ახალი ამოჩემებაა! ახლახანს დავბრუნდი და მგზავრობის არანაერი სურვილი არ მაქვს...

ადოლფი - მაგრამ, თუ მე მაქვს ამის სურვილი?!

თეკლა - საერთოდ არ მაღელვებს, შენ რის სურვილი გაქვს! მარტო წადი, თუ გინდა!..

ადოლფი - მე გიბრძანებ პირველივე გემს გამოყვე ჩემთან ერთად!..

თეკლა - მიბრძანებ?.. ეს რას ნიშნავს?

ადოლფი - შენ გავიწყდება, რომ ჩემი ცოლი ხარ!

თეკლა - შენ კი გავიწყდება, რომ ქმარი ხარ ჩემი!

ადოლფი - ამ ორს შორის დიდი განსხვავებაა!

თეკლა - აი, თურმე - რა!.. შენ არასდროს გეყვარებივარ!

ადოლფი - ასე გგონია?

თეკლა - დიახ, ასე მგონია, რადგან სიყვარული გაცემას ნიშნავს...

ადოლფი - სწორედაც, სრული სიმართლეა... მამაკაცისთვის! ქალისთვის კი ის მიღებას უნდა ნიშნავდეს. შენთან ურთიერთობაში სულ გავცემდი, გავცემდი, გავცემდი!..

თეკლა - ნუთუ?! და რას მაძლევდი, ბარემ ისიც თქვი...

ადოლფი - ყველაფერს!

თეკლა - ...და ფიქრობ, რომ ეს ძალიან ბევრი იყო, არა?! კარგი, დავუშვათ, რომ სწორედ ასე იყო და მე მართლაც ვიღებდი ამ შენგან ბოძებულ „ყველაფერს“. გამოდის, ახლა გაცემული „საჩუქრებისთვის“ ანგარიში გინდა წარმიდგინო? შენი თეორიის მიხედვით, შენგან გაცემულს თუ ვიღებდი, გამოდის, მყვარებიხარ, რადგან ქალს მხოლოდ საყვარლისგან სიამოვნებს საჩუქრის მიღება...

ადოლფი - საყვარლისგან! დიახ, დიახ, საყვარლისგან! სწორი შენიშვნაა! ყოველთვის შენი საყვარელი ვიყავი და არა - ქმარი!

თეკლა - ...და ეს შენთვის უფრო სასიამოვნო და მისაღები იყო! მაგრამ, თუ ვცდები და უკმაყოფილო ხარ საკუთარი ხვედრით, მაშინ, ჩემგან თავისუფალი ხარ! დიდად არც არაფერში მჭირდება ქმარი!

ადოლფი - ახალი ამბავი! გგონია, ეს აქამდე არ შემიმჩნევია? ვხედავ, ამ ბოლო დროს როგორ ფეხაკრეფით მიიპარები, რომ სხვა და სხვა საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში თეთრი ყვავივით აიპრიხო ეგ კუდი, ჩემგან ნაქურდალი ბუმბულით, ჩემი ბრილიანტებით რომ შეგიმოსავს! ამიტომაც გადავწყვიტე, შენი ვალდებულებების შესახებ შემეხსენებინა. ხო, ახლა მე ვარ იმ თავისმომბეზრებელი „კრედიტორის“ როლში, რომელსაც, როგორც წესი, მოვალეები ჯოჯოხეთში აგზავნიან და თან რომლის ანგარიშებსაც უსირცხვილოდ, პირწმინდად ასუფთავებენ! იქამდეც მივედი, ჩემს ანგარიშს რომ არ შეეტყოს დანაკლისი, ახლა უკვე ვალებსაც იღებ. შენ იძულებით გახდი ჩემი ცოლი, უბრალოდ, სხვა გზა აღარ გქონდა და სწორედ ამის გამო ვერ მიტან! იცი რა, თუ საყვარელი აღარ ვარ, სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ, რადაც არ უნდა დამიჯდეს, მე გავხდები შენი ქმარი!

თეკლა - (თავს ძალას ატანს, რომ გაიცინოს) ისეთ სისულელეებს რომავ, ჩემო საყვარელო იდიოტო!..

ადოლფი - შენთვისვე არის სახიფათო, ყველას იდიოტად თვლიდე, საკუთარი თავის გარდა!

თეკლა - ხო, მაგრამ მაინც ყველა ასე ფიქრობს.

ადოლფი - გითხრა, ახლა ჩემდაუნებურად რას მივხვდი? იმას, რომ შენი პირველი ქმარი სულაც არ ყოფილა იდიოტი.

თეკლა - ღმერთო ჩემო! ადამიანმა შეიძლება იფიქროს, რომ შენ მას თანაუგრძნობ კიდეც...

ადოლფი - რატომაც - არა!

თეკლა - რა გაეწყობა?.. ალბათ, უფრო ბედნიერად იგრძნობდი თავს, პირადად რომ გაგეცნო, გესაუბრა და გული გადაგეშალა მისთვის, რა საოცარი სანახაობა იქნებოდა!.. მაგრამ, გაითვალისწინე, საყვარელო, ის შენსავით მეც თავისკენ მიზიდავს, რადგან ძალიან დავიდალე მუდმივად ძიძის როლში ყოფნით, სხვა თუ არაფერი, ის ნამდვილი მამაკაცი მაინც იყო და საერთოდაც, მის ერთადერთ ნაკლად მხოლოდ ის შეიძლება ჩაითვალოს, რომ ის დღემდე მე მეკუთვნის!..

ადოლფი - ვერაფერს იტყვი! რას ვიზამთ?... ოღონდ ასე ხმამაღლა ნუღარ ვისაუბრებთ, არ არის საჭირო, ვინმეს ესმოდეს...

თეკლა - დიდი ამბავი, თუ გაიგებენ!.. სულ არ მაინტერესებს!

ადოლფი - გამოდის, რომ შენ ამ ეტაპზე ერთდროულად დაინტერესებული ხარ პატარა ბიჭებითა და ხანშიშესული კაცებით, არა?!..

თეკლა - როგორც ხედავ! არა მარტო დაინტერესებული, პირდაპირ განურჩევლად აღფრთოვანებული ვარ! ჩემი გულის კარი ღიაა ყველასა და ყველაფრისათვის, დიდებულისა და მდაბიოსათვის, ლამაზისა და მახინჯისთვის, ახლისა, თუ - ძველისთვის! მთელი სამყარო მიყვარს! აი, ასე!..

ადოლფი - იცი, მაინც ეს რას ნიშნავს?

თეკლა - მე არაფერი ვიცი... მე მხოლოდ ვგრძნობ!

ადოლფი - ეს სიბერეს ნიშნავს! ნიშნავს, რომ ბედნიერ დღეებს უნდა დაემშვიდობო...

თეკლა - ისევ გინდა, რომ ამ თემას დავუბრუნდეთ, არა? კი, ბატონო... ოღონდ, მიფრთხილდი!

ადოლფი - თავად მიფრთხილდი!..

თეკლა - რა მითხარი?

ადოლფი - დანა!

თეკლა - (ჯერ კიდევ სიცილით) ვფიქრობ, ჩემს ძამიკოს მოეხსენება, რომ დანით თამაში არ შეიძლება!..

ადოლფი - თამაშზე არც მიფიქრია!

თეკლა - გასაგებია, ესეიგი, სერიოზულები ვართ... სრულიად სერიოზულები! გამოდის, უნდა დაგიმტკიცო, რომ შეცდი... ან... უმჯობესი იქნება, არაფერი დაგიმტკიცო. შენ არაფერი უნდა იცოდე. შენს გარდა ყველას ეცოდინება სიმართლე! შენ კი ეჭვები დაგღრღნის, წამითაც ვერ მოიპოვებ სიმშვიდეს! ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობ, როგორი სასაცილო ხარ, რომ შენ გატყუებენ, მაგრამ ამის დამამტკიცებელ საბუთს ვერ მოიპოვებ, რადგან ნამდვილ ქმარს ეს არასოდეს შეუძლია! ამიერიდან ყველაფერი სხვაგვარად იქნება!

ადოლფი - შენ გეზიზღები!

თეკლა - რა სისულელეა... რომც მინდოდეს, მაინც ვერ შევძლებ. წარმოუდგენელია, გეზიზღებოდეს ბავშვი...

ადოლფი - ხო, ახლა მე ვარ ბავშვი, მაგრამ გაიხსენე ის საშინელი დღეები, რაც ერთად გავიარეთ! ჩვილი ბავშვივით რომ იწევი და ტიროდი. კალთაში გიწვენდი, გარწევდი და თვალებს გიკოცნიდი, სანამ შენს შიშს ძილით არ დავამარცხებდით! მაშინ მე ვიყავი შენი ძიძა, რომელიც თვალ-ყურს გადევნებდა, გარეთ მოუწესრიგებელი რომ არ გასულიყავი, ფეხსაცმელს გაცმევდა, საკვებს გიმზადებდა... საათობით ვიჯექი და შენი ხელი მეჭირა ხელში, როცა შენ ყველასი და ყველაფრის გემინოდა, რადგან არცერთი მეგობარი არ გყავდა გვერდით და საზოგადოებრივი აზრის წნეხის ქვეშ იყავი მოქცეული. მე ვეცადე შენში ძალა და სიმამაცე გამეღვიძებინა, იქმადე გარწმუნებდი საკუთარ შესაძლებლობებში, სანამ ლაპარაკისგან ენა არ გამიშრებოდა და თავი არ ამტკიცებოდა! საკუთარ თავს ვაიძულებდი, რომ ძლიერი ვცყოფილიყავი და მომავლის იმედი მქონოდა, რათა შენთვის სიცოცხლის სურვილი დამებრუნებინა და დაგიბრუნე კიდევ! ჩემით აღფრთოვანებული იყავი! მაშინ კაცი ვიყავი. ხო,

ისეთი ათლექტური არა, როგორც - ის, შენ რომ მიატოვე, მაგრამ ძლიერი სული მქონდა. შენთვის „მაგნიტიზატორივით“ აღმოვჩნდი, რომელმაც შენი მომჩვენებული კუნთები და გამოფიტული ტვინი ახალი ელექტროენერგიით დამუხტა. ფეხზე წამოგაყენე, ახალი მეგობრების შეძენაში დაგეხმარე, შენს ირგვლივ უამრავი ადამიანი შევკრიბე და ვაიძულე, შენით აღფრთოვანებულიყვნენ. მე შენ საკუთარი სახლისა და გულის დიასახლისად ავირჩიე! ყველა გამოფენაზე შენი სახე ჩანდა, რადგან ჩემს ნამუშევრებში ხან წმინდა სესილია იყავი, ხან- მარიამ სტიუარტი, ხან-შარლოტა კორდე. ეს მე ვაიძულე ადამიანთა ბრბო ჩემი თვალებით დაენახე და ყველა სიმპათიით განვაწყვე შენს მიმართ. ყოველივე ამის შემდეგ მოგეცა იმის საშუალება, რომ მარტოს, შენით გეგლო საკუთარ გზაზე!.. შენი შექმნის შემდეგ ძალა გამომეცალა, ისე გადავიქანცე, რომ ახლა უკვე მე ვეღარ ვგრძნობ საკუთარ ფეხებს. გამოდის, რომ მე დავეცი შენი აღზევების ფასად. მერე ავად გავხდი, შენთან მიმართებაში კი ცხოვრება უფრო ღმობიერი აღმოჩნდა და მივხვდი, რომ ჩემი ავადმყოფობა გბოჭავდა. შესანიშნავად მახსოვს, თანდათანობით როგორ მშორდებოდი, როგორც კრედიტორს, რომელიც შენი მძიმე დღეების უტყვი მოწმე იყო! შენმა სიყვარულმა და - ძმური ურთიერთობის სახე მიიღო და მე მივხვდი, რომ „ძამიკოს“ როლი უნდა მომერგო, რადგან სხვა გზა აღარ მრჩებოდა. ვიცი, ჩემს მიმართ ახლაც გაქვს ნაზი გრძნობა, რომელიც თანდათან იზრდება კიდევ, მაგრამ ეს სხვა გრძნობაა, რომელშიც სიბრაღის სხივი კრთის. შემდეგ კი პატივისცემაც დაკარგე ჩემს მიმართ... შენ წინ მიიწევი, ჩემი შემოქმედება კი დაღმართზე დაეშვა, თუმცა ახლა უკვე ვეღარც შენი საქმეა კარგად, რადგან ის წყარო დაშრა, საიდანაც ძალებს იკრებდი - მე აღარ გავსებ, უფრო სწორად, შენ იქცევი ისე, თითქოს თავად აღარ გჭირდები აღსადგენად, ამიტომაც ორივე სულს ვღაფავთ. მაგრამ შენთვის ხომ ჰაერივით აუცილებელია ვინმე, ვისაც საკუთარ შეცდომებს გადააბრალებ! რაღაც ახალი გჭირდება! სუსტი ხარ და საკუთარ შეცდომებს ვერ ზიდავ, ამიტომაც გავხდი შენთვის „განტევების ვაცი“, ახლა უკვე რომლის მოკვლაც გინდა! არადა, იცი, ჩემი სიკვდილი შენს სიკვდილსაც რომ გამოიწვევს, რადგან ერთობლივმა ცხოვრებამ ტყუპებად გვაქცია. ჩემი სხეულიდან გაჭრილ თავისუფალ შტოდ იქეცი, მაგრამ იმაზე ადრე მოგინდა ფოთლების შრიალი, ვიდრე ფესვებს გაიდგამდი, ამიტომაც ვერ შეძლებ დამოუკიდებლად ზრდას! ხეს უჭირს მთავარი ტოტის გარეშე არსებობა!.. ამიტომაც დავიწყეთ გახმობა...

თეკლა - ვფიქრობ, ამით იმის თქმაც გინდა, რომ ჩემი წიგნები შენ დაწერე...

ადოლფი - ო, არა! ეგ ამბავი შენ გაძლევს ხელს და ამიტომაც თავად მომაწერე, რადგან მერე ტყუილში მამხილო!.. ახლა ასე დაწვრილებით იმიტომ გიამბე ეს ყველაფერი, რომ მინდოდა ყოველი სიტყვა შეგეგრძნო მთელი თავისი შუქ-ჩრდილებითა და ნახევარი ტონებით, ყველა ამოსუნთქვით, ყოველი გადასვლით, თუმცა... შენ მხოლოდ ერთი ტონალობისთვის ხარ შექმნილი!

თეკლა - რა თქმა უნდა, ეგ ისედაც ნათელია. მაგრამ ამ ამბის დასკვნა ხომ ის არის, რომ ჩემი წიგნები შენი დაწერილია?..

ადოლფი - არ შეიძლება ასეთი დასკვნის გამოტანა, რადგან წარმოუდგენელია მთლიანი აკორდი ერთ ნოტში გადაწყვიტო! ცხოვრების მრავალფეროვნება არ შეიძლება ერთ მნიშვნელამდე დაიყვანო... არც ისეთი სულელი ვარ, რომ შენი წიგნების ავტორობა დავიბრალო...

თეკლა - მაგრამ ასე ფიქრობ...

ადოლფი - (განრისხებული) არ ვფიქრობდი!

თეკლა - თუმცა, საერთო ჯამში...

ადოლფი - (თითქოს ჭკუიდან შეიშალა) არავითარი საერთო ჯამი არ არსებობს, რადგან ჩვენ ყველაფერს ვხარჯავდით!.. შენთვის გასაგებ ენაზე რომ გითხრა, როდესაც განუყოფელი რიცხვები იყოფა, მაშინ კოეფიციენტში უსასრულო წილი მიიღება. მოკლედ, მე არაფერი გადამიღია საარსებოდ...

თეკლა - არა, მაგრამ მე შემძლია დამატება...

ადოლფი - როგორც გენებოს, მაგრამ მე ეს არ მიქნია.

თეკლა - მაგრამ, ხომ გინდოდა?

ადოლფი - (ძალაგამოცლილი და თვალეხდახუჭული) არა, არა და არა! ხმა აღარ გამცე, თორემ ახლა გული წამივია. ჩუმი... ხელი არ მახლო!.. ტვინს მიხეხავ, შენი უხეში ბრჭყალებით ფიქრების ძაფს გლეჯ!.. (გული მისდის და ეცემა, მზერა გაურბის, ცერა თითები უკანკალებს).

თეკლა - (ნაზად) რა მოგდის? ავად ხარ?.. (ადოლფი ხელს კრავს) ადოლფ!.. (ადოლფი თავს იქნევს) ახლა მაინც აღიარე, რომ არ იყავი მართალი...

ადოლფი - კი, კი... დიახ, დიახ, ვაღიარებ!..

თეკლა - და პატიებას ითხოვ, არა?

ადოლფი - დიახ, დიახ, კი, კი... ვითხოვ!.. ოღონდ, ნუღარ მელაპარაკები.

თეკლა - ხელზე მემთხვიე...

ადოლფი - გემთხვიე... ოღონდ - ჩუმიად, აღარაფერი მითხრა!..

თეკლა - ახლა კი წამოდექი, ცოტა უნდა გავიაროთ... სადილობამდე ჰაერი ჩავყლაპოთ...

ადოლფი - კი, ბატონო... მერე კი ბარგს ვალაგებთ და მივემგზავრებით...

თეკლა - არა!

ადოლფი - (დგება) რატომ? რაიმე განსაკუთრებული მიზეზი გაქვს ამისთვის?

თეკლა - პირობა მაქვს მიცემული, რომ დღეს ერთ ადგილას უნდა მივიდე ვახშმად...

ადოლფი - იმედია, ამას სერიოზულად არ ამბობ...

თეკლა - სრულიად სერიოზული ვარ. პირობა მივეცი...

ადოლფი - პირობა?! ალბათ, უბრალოდ დათანხმდი, რომ ვახშმად შეივლიდი... შეგიძლია, უარი თქვა...

თეკლა - მე შენსავით არ ვიქცევი, რასაც ვიტყვი, ვასრულებ კიდეც.

ადოლფი - ხანდახან ყველაფერს ვერ შეასრულებ, რასაც ადამიანს უბრალოდ საუბრის დროს დაპირდები... კარგი, შეგიძლია აუხსნა იმ ადამიანს, ვისაც დაპირდი, რომ ქმარი გყავს შეუძლოდ...

თეკლა - ხო, მაგრამ მე არ მსურს ამის თქმა. ბოლოს და ბოლოს, არც ისე ცუდად ხარ, რომ ჩემთან ერთად წამოსვლა ვერ შეძლო...

ადოლფი - შენ რა, ჩემს გვერდით თავს უფრო მშვიდად გრძნობ?

თეკლა - არ მესმის, ამით რის თქმა გინდა?..

ადოლფი - ველი შენს ჩვეულ პასუხს, რასაც მპასუხობ ხოლმე მაშინ, როცა ისეთ რამეს გეუბნები, რაც არ გსიამოვნებს.

თეკლა - ...და შენი აზრით, რა არ მსიამოვნებს?

ადოლფი - არაფერი, არაფერი, ოღონდ ახლა თავიდან ნუ დაიწყებ... ახლავე დავბრუნდები, შენ კი, კარგად აწონ-დაწონე, რას აკეთებ!.. (სცენის სიღრმეში მდებარე კარიდან გადის და მარჯვნივ მიემართება. შემოდის გუსტავი, მშვიდად მიდის მაგიდასთან და ჟურნალს იღებს ისე, რომ თეკლასკენ არც კი იხედება).

თეკლა - (თეკლა შეკრთება, მაგრამ მაშინვე თავი ხელში აჰყავს) ეს შენ ხარ!

გუსტავი - დია, მე ვარ!.. მაპატიე, მაგრამ...

თეკლა - აქ როგორ მოხვდი?!

გუსტავი - ჩვეულებრივად... მაგრამ... ახლავე დაგტოვებ... ჩემი აქ ყოფნა შენთვის, რა თქმა უნდა...

თეკლა - არა, გთხოვ, დარჩი!.. რამენი დრო გავიდა!..

გუსტავი - მართალი ხარ, დიდი დრო გავიდა!

თეკლა - როგორ შეცვლილხარ!..

გუსტავი - შენ კი ისევ ისეთი მშვენიერი ხარ! უფრო მეტიც, მგონი, გაახალგაზრდავდი კიდეც! ბოდიშს ვიხდი!.. მართლა არ მსურს, ჩემი აქ ყოფნით რაიმე უხერხულეზა შეგიქმნა... რომ მცოდნოდა, აქ შეგხვდებოდი, არასოდეს...

თეკლა - არა, დარჩი! გთხოვ!.. თუ ეს შენ არ გიქმნის უხერხულეზას...

გუსტავი - არა, მე არ მიქმნის... ვფიქრობდი, რომ ჩემთან საუბარი შენ შეგიქმნიდა მსგავს განცდას...

თეკლა - არა, რას ამბობ! თანაც მომეხსენება, როგორი თავაზიანი ხარ...

გუსტავი - შენც... მაგრამ დარმუნებული არ ვარ, რომ შენი ქმარიც ამავე აზრის იქნება ჩემთან მიმართებაში...

თეკლა - სწორედ ახლახანს შენზე ვსაუბრობდით... საკმაოდ თავაზიანად!

გუსტავი - მართლა? ეტყობა, ყველაფერი ისე აირევა და გაცვდება ხოლმე ადამიანებში, როგორც ის სახელები, ახალგაზრდობაში ხეებზე რომ ვკვეთთ ხოლმე, სიძულვილიც კი არ ყოფილა მარადიული.

თეკლა - მას შენ არასდროს სძულდი, რაც შემეხება მე, ხანდახან იმაზეც კი მიოცნებია, ოდესმე მენახა, როგორ საუბრობდით მეგობრებივით, მერე კი ხელის ჩამორთმევით დამშვიდობებოდით ერთმანეთს...

გუსტავი - მეც მხოლოდ იმაში მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რომ ქალი, რომელიც სიცოცხლეზე მეტად მიყვარდა, ბედნიერი იყო... შენი ქმრის შესახებ მხოლოდ კარგი თუ მსმენია, მის შემოქმედებასაც კარგად ვიცნობ... თუმცა, სულ ვფიქრობდი, სანამ დავბერდები, მანამ უნდა გავიცნო პირადად, ხელი ჩამოვართვა, თვალებში ჩავხედო და ვთხოვო, რომ თვალისჩინივით გაუფრთხილდეს იმ განძს, ბედისწერამ რომ არგუნა მეთქი... მინდოდა, ბოლომე გამეფანტა იმ სიძულვილის თუნდაც ნამცეცები, წესით, ძალაუნებურად რომ უნდა ჰქონდეს ჩემს მიმართ, მინდოდა, დავხმარებოდი მას საკუთარი სინდისის წინაშე სუფთა რომ ყოფილიყო, რათა მეც როგორმე მშვიდად გამეთრია ჩემი მარტოობის მოწყენილი დღეები!..

თეკლა - მესმის, რასაც გულისხმობ, რადგან ჩემს სულშიც იგივე ხდებოდა... აღმოჩნდა, შენც გესმის! (ხელს გაუწვდის) მადლობელი ვარ!

გუსტავი - მე ვინ ვარ? ერთი ჩვეულებრივზე მეტად უსუსური ადამიანი, მე არ მქონდა შენი დაცვისა და შენს გვერდით ყოფნის უფლება. განა შემემძლო ჩემი ერთფეროვანი ცხოვრებით, მონური სამსახურითა და ახლობლების ვიწრო წრით შენი თავისუფლებისმოყვარე სულის დაკმაყოფილება? ეს მაშინაც მესმოდა და ახლა ხომ - მითუმეტეს!.. შენ შეგიძლია ადამიანის გულის ყველაზე ღრმა კუთხესაც კი ჩაწვდე, ამიტომაც მგონია, რომ უცხო არ იქნება იმის წარმოდგენა, როგორი რთული იქნებოდა ჩემთვის ამ ყველაფერში საკუთარ თავს რომ გამოვტყდომოდი!..

თეკლა - მესმის, საკუთარი სისუსტეების აღიარება წარმოუდგენლად ღირსეული საქციელია, ამას ბევრი ვერ ახერხებს. შენ ყოველთვის მართალი და მიუკერძოვებელი ბუნების ადამიანი იყავი და მე ამას ყოველთვის ვაფასებდი...

გუსტავი - არა, მაშინ სულაც არ ვიყავი ასეთი!.. მაგრამ მწუხარება რადაცნაერად აღგვამალლებს ხოლმე თითქოს, ტანჯვა სულს განგვიახლებს... მე კი საკმარისად ვიტანჯე.

თეკლა - საბრალო გუსტავ!.. მითხარი, შეძლებ, ოდესმე რომ მაპატიო?..

გუსტავი - მე გაპატიო? მე რა უნდა გაპატიო, აქეთ უნდა გთხოვდე პატიებას!..

თეკლა - (ინტონაცია ეცვლება) მგონი, ახლა ორივე ავტირდებით!.. დავიჯერო, ასე დავბერდით?..

გუსტავი - (მასაც ეცვლება ინტონაცია) ნამდვილად... ეს მე დავბერდი, ეს მე დავბერდი, თორემ შენ თანდათან ახალგაზრდავდები! (გაუცნობიერებლად მიდის და სკამზე ჩამოჯდება, თეკლა - ტახტზე).

თეკლა - ასე ფიქრობ?..

გუსტავი - ...და როგორ გემოვნებიანად იცვამ!..

თეკლა - ეს ხომ თავად მასწავლე?! არ გახსოვს, როგორ მირჩევდი ხოლმე ისეთ ფერებს, რაც მიხდებოდა?

გუსტავი - არ მახსოვს...

თეკლა - კარგი რა... მართლა არ გახსოვს? მე კი შესანიშნავად მახსოვს, როგორ ბრაზობდი ჩემზე, როცა ვერ ვხვდებოდი შესაბამისად როგორ უნდა ჩამეცვა...

გუსტავი - არ ვბრაზობდი, მე შენზე ვერასოდეს ვბრაზდებოდი!..

თეკლა - რას მეუბნები! ფიქრს და მსჯელობას რომ მასწავლიდი, არც ეს გახსოვს? არაფერი ვიცოდი...

გუსტავი - იცოდი, ისე, როგორც - ყველას. მერე კი აღმოჩნდა, რომ, თურმე, ისეთი ფილოსოფიური მსჯელობაც შეგძლებია!.. ყოველ შემთხვევაში, შენს შემოქმედებაში ასე ჩანს...

თეკლა - (აშკარად აღარ სიამოვნებს საუბრის გაგრძელება და თემის შეცვლას ცდილობს) ოხ, გუსტავ, რომ იცოდე, როგორ მესიამოვნა შენთან შეხვედრა, თანაც ასეთ მშვიდობიან გარემოში...

გუსტავი - ვფიქრობ, მეომრის თვისებებით არც არასოდეს გამოვირჩეოდი... თავად იცი, ყოველთვის მშვიდობიან გარემოებებზე ვაკეთებდი არჩევანს.

თეკლა - ხო, ზედმეტად მშვიდობიანზეც - კი.

გუსტავი - თუმცა, მინდა გითხრა, მაშინ დარწმუნებული ვიყავი, რომ თავადაც გიზიდავდა ასეთი ცხოვრება... ყოველ შემთხვევაში, ქორწილამდე თავად მომეცი მიზეზი, ასე რომ მეფიქრა.

თეკლა - ხო... ქორწილამდე... მაშინ არაფერი მესმოდა... მხოლოდ დედაჩემის შეგონებებით ვცხოვრობდი, საკუთარი არც გამაჩნდა.

გუსტავი - ახლა კი საკუთარ თავს შეხედე!.. არტიტული ცხოვრება ხომ ასეთი ბრწყინვალეა! ახალი ქმარიც, ალბათ, მე არ მგავს...

თეკლა - რაც არ უნდა კარგი ხდებოდეს, ყველაფერმა იცის მობეზრება!

გუსტავი - **(უხეშად იცვლის ინტონაციას)** შემომხედე... შენ რა, ისევ ჩემი ნაჩუქარი საყურე გიკეთია?!

თეკლა - **(უხერხულად)** დიახ... და რატომ არ უნდა მეკეთოს? მგონი, მტრად არ დავშორებივართ ერთმანეთს... და თანაც, გამოგიტყდები და მსიამოვნებს კიდევ, ჩვენი მყარი მეგობრობის სიმბოლოდ რომ მიკეთია. იცოდი, რომ ასეთს უკვე არსად აღარ აკეთებენ?.. **(ერთ საყურეს იხსნის ყურიდან)**.

გუსტავი - ეს ყველაფერი ძალიან სასიამოვნოა ჩემთვის... მაგრამ - შენი ქმარი... რას ფიქრობს ამაზე?

თეკლა - ხო, ამის შესახებ მის აზრს ვერ გავუმკლავდი!

გუსტავი - რას ნიშნავს, ვერ გავუმკლავდი?! ვფიქრობ, მისთვის ეს შეურაცმყოფელი იქნებოდა და სხვებისგან დასაციინი...

თეკლა - **(თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკებს)** ეს იმ შემთხვევაში, მანამდეც სასაცილო რომ არ ყოფილიყო!

გუსტავი - **(თვალს ადევნებს, როგორ ცდილობს თეკლა საყურის გაკეთებას)** დაგეხმარები... თუ ნებას მომცემ, რა თქმა უნდა...

თეკლა - დამავალე...

გუსტავი - **(ყურზე ოდნავ ჩქმეტს)** პატარა ვარდისფერი ყური!.. რა იქნებოდა... ახლა რომ შენი ქმარი გვხედავდეს?

თეკლა - ცრემლებად დაიღვრებოდა.

გუსტავი - ეჭვიანია?

თეკლა - ეჭვიანი? კითხვადაც არ ღირს!

მარჯვენა კარის მხრიდან ხმაური გაისმა.

გუსტავი - ვინ ცხოვრობს იმ ოთახში?

თეკლა - არ ვიცი. მომიყევი, როგორ ცხოვრობ?

გუსტავი - უმჯობესია, შენ მიამბო საკუთარ ცხოვრებაზე... **(თითქოს უნებურად ცვილის ფიგურაზე გადაფარებულ ნაჭერს ჩამოაგდებს)** ეს რა არის? ღმერთო ჩემო, ეს ხომ შენ ხარ!

თეკლა - არ მგონია...

გუსტავი - რას ამბობ! ნახე, როგორი მსგავსებაა!

თეკლა - ასე ფიქრობ?..

გუსტავი - ახლა შენ ის ანეგდოტი გამახსენე ცნობილი კითხვით, ჯარისკაცებსა და მეფეზე რომ არის - „როგორ იცნო მეფემ აბანოში თავისი ჯარისკაცები, ისინი ხომ შიშვლები იყვნენო?“

თეკლა - **(ხარხარებს)** აუტანელი ხარ! სხვა ანეგდოტებიც გეცოდინება, მომიყევი...

გუსტავი - არ მახსენდება, შენ მომიყევი რაიმე სასაცილო...

თეკლა - მე ეგეთ სასაცილო ამბებს არ მიყვებიან...

გუსტავი - რატომ? ასეთი მორცხვია?

თეკლა - საკმაოდ.

გუსტავი - არც ქცევაში გამოირჩევა გაბედულობით?

თეკლა - ის ახლა ავად არის...

გუსტავი - მეზრალეები!.. არ უნდა ჩაეყო ცხვირი კრაზანების ბუდეში!..

თეკლა - **(სიცილით)** გიჟი ხარ...

გუსტავი - ჩემო საბრალო გოგო!.. გახსოვს, მე და შენ რომ დავქორწინდით, მაშინაც ამ ოთახში ვცხოვრობდით... თუმცა, მაშინ სხვანაერად იყო გაწყობილი. აი, იქ, სარკესთან მაგიდა იდგა, იქ კი - საწოლი...

თეკლა - გაჩუმდი!

გუსტავი - შემომხედე თვალებში...

თეკლა - საიმოვნებით! **(ერთმანეთს შესცქერიან)**.

გუსტავი - როგორ ფიქრობ, შესაძლებელია იმის დავიწყება, რასაც ოდესღაც შენს სულზე ძლიერი ზეგავლენა მოუხდენია?!.

თეკლა - არა... მოგონებებს დიდი ძალა აქვთ! განსაკუთრებით - ახალგაზრდულ განცდებს.

გუსტავი - ჩვენი პირველი შეხვედრა გახსოვს? შენი ფიქალის დაფა, რომელზეც შენი მშობლებისა და აღმზრდელის დაწერილი ტექსტი წავშალე და ჩემი შთაბეჭდილებებით გავავსე!.. სულაც არ მინდა შენი ქმრის ადგილას წარმოვიდგინო თავი, თუმცა ეს მე არ მეხება... ამიტომაც აქვს ახლა ჩვენს შეხვედრას განსაკუთრებული ხიბლი. ეტყობა, ჩვენი ფიქრები რაღაც ჯადოსნური გზით კვეთენ ერთმანეთს... ამ ყველაფრის დამსახურებაა, რომ ახლა ვზივარ შენს წინ, გესაუბრები და ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს დიდი ხნის წინ დაყენებულ, ძველ და ძვირფას ღვინოს მივირთმევე პატარ-პატარა ყლუპებით!.. დიახ, მე მუდამ ვიცნობ ჩემს ადრინდელ, აწ უკვე ძველ, დადუღებულ სასმელს... იცი, ცოლის მოყვანას ვაპირებ. ახლა უკვე ეჭვიც აღარ მეპარება, სრულიად ახალგაზრდა გოგო რომ უნდა შევიერთო ცოლად, რათა საკუთარი შეხედულებებისამებრ აღვზარდო. ქალი ხომ ყოველთვის ქმრის შემოქმედებად ითვლება? წინააღმდეგ შემთხვევაში, პირიქით ხდება და სამყაროც თავდაყირა დგება!

თეკლა - რა? ცოლის მოყვანას აპირებ?

გუსტავი - დიახ! კიდევ ერთხელ მინდა მოვსინჯო ძალები საკუთარი ბედნიერებისთვის. თუმცა, ამჯერად ვეცდები უფრო ილბლიანი არჩევანი გავაკეთო უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად...

თეკლა - ლამაზია?

გუსტავი - ჩემთვის - კი! ძალიან ხომ არ დავბერებულვარ?... უცნაურია... რაც აქ განგებამ ერთმანეთს შემთხვევით შეგვახვედრა, ყველაფერში ეჭვი მეპარება... მეორედ ჩავერთო იმავე თამაშში?... ეშმაკს არ სძინავს!

თეკლა - ვერ მიგიხვდი...

გუსტავი - შევამჩნიე, რომ შენს ნიადაგში მყარად გამიდგამს ფესვები! ძველი იარები მეხსნება! თეკლა! საშიში ქალი ხარ!..

თეკლა - ასე ფიქრობ?... საოცარია, ჩემს ახალგაზრდა ქმარს კი ჰგონია, რომ ამ ასაკში მსგავსი აღარაფერი გამომივა!..

გუსტავი - ეს მხოლოდ იმაზე მიგვანიშნებს, რომ აღარ უყვარხარ.

თეკლა - არც კი ვიცი, საერთოდ რა ჰგონია სიყვარული!..

გუსტავი - თქვენ იმდენ ხანს თამაშობდით სხვების დასანახად „დამალოზანას“, რომ ახლა უკვე ერთმანეთსაც ვეღარ პოულობთ, ასეც ხდება ხოლმე! ეტყობა, ის მამაცი ადამიანი იყო, შენ კი უცოდველი გოგოს როლის თამაშით მხდალად აქციე. ხედავ, ძვირფასო, ცვლილებებს უხერხული მომენტებიც ახასიათებთ, თურმე!..

თეკლა - შენ რა, ამ ფორმით მსაყვედურობ?

გუსტავი - ღმერთმა დამიფაროს!.. ქვეყნად რაც არ უნდა ხდებოდეს, ყველაფერი ყბადაღებული კანონზომიერების ძალით ხდება, რას ვიზამთ, ეს არ იქნებოდა, სხვა რამ მოხდებოდა. მაგრამ რადგან ასე მოხდა...

თეკლა - მაინც რა ნათელი გონება გაქვს!.. სხვა არავინ მეგულება, ვისთანაც ასე სასიამოვნოდ შემიძლია საუბარი. არ გიყვარს მორალის კითხვა და ისეთი მწირი მოთხოვნები გაქვს ადამიანების მიმართ, რომ ძალაუფლებურად თავს თავისუფლად ვგრძნობ... წარმოგიდგენია, შენს მომავალ ცოლზე ვეჭვიანობ!

გუსტავი - მე კი - შენს ქმარზე!

თეკლა - (წამოდგება) აი, ახლა კი სამიდამოდ უნდა დავშორდეთ ერთმანეთს!

გუსტავი - გეთანხმები, ეს ნამდვილად უნდა მოხდეს. თუმცა... დამშვიდობება ხომ შეგვიძლია? უკანასკნელად... არა?

თეკლა - (აღელდა) არა, არა!

გუსტავი - (უკან დაჰყვება თეკლას) ეს აუცილებელია. უნდა დავემშვიდობოთ ერთმანეთს, როგორც წესი და რიგია. მოდი, ჩვენი მოგონებები ბახუსის ისეთ სიღრმეში ჩავძიროთ, რომ გამოფხიზლებულეებს აღარაფერი გვახსოვდეს, რაც ერთმანეთთან გვაკავშირებდა!.. ვერ ხედავ, მის უსუსურ გონთან ურთიერთობამ თავადაც უსუსურ არსებად გაქცია, მან შენ დაგაავადმყოფა! მე ახალ ენერგიას შთაგბერავ, ახალ სიცოცხლეს გაჩუქებ და შენს ნიჭს ვაიძულებ შემოდგომის გვიანი ვარდივით გაიფურჩქნოს! მე...

სცენის სიღრმეში - ვერანდაზე საგარეო ტანისამოსში გამოწყობილი ორი ქალბატონი გამოჩნდება. აშკარაა, რომ ისინი გუსტავსა და თეკლაზე გადაულაპარაკებენ რაღაცას ერთმანეთს და ისევ გაუჩინარდებიან.

თეკლა - (თავს გაითავისუფლებს) დაინახე? ვინ იყო?!.

გუსტავი - (გულგრილად) ორი უცხოელი...

თეკლა - წადი... შენი მეშინია.

გუსტავი - რატომ გეშინია?..

თეკლა - გინდა, რომ სულისგან განმძარცვო...

გუსტავი - სამაგიეროდ ჩემსას დაგიტომობ!.. თუმცა, შენ ხომ ისედაც არ გაქვს სული, ეს შეგრძნებების მანიპულაციაა და მეტი-არაფერი!

თეკლა - საზიზღრობაც კი ისე თავაზიანად შეგიძლია მითხრა, რომ ვერც კი ვბრაზდები!

გუსტავი - ამიტომაც ვარ მე შენი „პირველი იპოთეკარი“! აბა, მითხარი, როდის და - სად?

თეკლა - არა! მეცოდება... ბოლოს და ბოლოს, მას ვუყვარვარ და არ მინდა მისი გრძნობები შეურაცყო.

გუსტავი - მას შენ არ უყვარხარ!.. მტკიცებულება გჭირდება?

თეკლა - ასეც რომ იყოს, შენ როგორ უინდა დამიმტკიცო?

გუსტავი - (მაგიდის ქვემოდან ადოლფის მიერ დაყრილ ნაგლეჯებს კრეფს) აი, შენი მტკიცებულებაც! თავად იხილე!..

თეკლა - ღმერთო ჩემო! რა სირცხვილია!..

გუსტავი - ხომ ნახე საკუთარი თვალითაც! ხოდა, ახლა მიპასუხე, როდის და - სად მეთქი?

თეკლა - მოღალატე!.. ამისთვის პასუხს ვაგებინებ!

გუსტავი - როდის?!.

თეკლა - მისმინე... ის დღეს მიემგზავრება...

გუსტავი - იქნებ, შენ...

თეკლა - ცხრა საათისთვის... (ოთახიდან საშინელი ხმაური ისმის) რა ხმაურია?.. ბოლოს და ბოლოს, ვინ ცხოვრობს ამ ოთახში?!

გუსტავი - (ოთახის გასაღების ჭრილში შეიხედავს) ახლავე ვნახავ... მაგიდა გადაყირავებულია, იატაკზე გატეხილი დოქი გდია... სულ ეს არის! ეტყობა, ვიღაცამ ძალი ჩაკეტა ოთახში და მარტო დატოვა... ესეიგი, შევთანხმდით, ცხრა საათისთვის...

თეკლა - დიახ, ცხრაზე!.. საკუთარ თავს მოჰკითხოს!.. ორპირი, მოღალატე! არადა, მუდამ სამართლიანობას ქადაგებს, მეც კი მიმაჩვია გულახდილობას!.. თანაც როგორი შეხვედრა მომიწყო! ჩამოვედი და საკუთარი ქმარი არც კი შეწუხებულა დასახვედრად... ფეხი შემოვდგი თუ არა, მაშინვე საყვედურების ნიაღვარი დამატეხა თავს იმ ახალგაზრდებთან დაკავშირებით, გემზე რომ ვიმგზავრეთ ერთად... მე კი არ შევიმჩნიე, მაგრამ ახლაც ვერ ვხდები, საიდან უნდა გაეგო ეს ამბავი?.. მოიცადე... მერე რაღაცას ფილოსოფოსობდა ქალებთან დაკავშირებით... ზუსტად შენსავით!.. და იმაზეც საუბრობდა, როგორ უნდა ჩაანაცვლოს ქანდაკებამ ფერწერა... შენი პარადოქსები!..

გუსტავი - ნუთუ?.. მართლა?

თეკლა - ნუთუ?! მართლა?! ახლა ყველაფერი გასაგებია! ახლა უკვე შესანიშნავად ვხედავ შენს სიმდაბლეს!.. აქ მხოლოდ იმიტომ ხარ, რომ მისთვის გული ამოგეგლიჯა!.. ეს შენ იჯექი, არა, აქ?.. შენ უთხარი, რომ ეპილეფსიით არის დაავადებული, რომ მისთვის აუცილებელი იყო,

სექსუალური თანაცხოვრებისგან თავი შეეკავებინა და ცოლთან ურთიერთობაში მეტი კაცობა და ძალა გამოევიდინა, არა?! რა თქმა უნდა, ეს შენ იყავი!.. რამდენი ხანია, აქ ხარ?!

გუსტავი - მთელი კვირაა!

თეკლა - ესეიგი, არ მომჩვენებია და გემზეც შენ იყავი!

გუსტავი - რა თქმა უნდა.

თეკლა - გეგონა, რომ მიზანს მიაღწევდი, ადვილად მათამაშებდი...

გუსტავი - მიზანი მიღწეულია!

თეკლა - ბოლომდე - არა!

გუსტავი - როგორ - არა...

თეკლა - გინდოდა მგელივით მიპარვოდი და თავს დასხმოდი, არა, ჩემს ბეკეკოს?! გინდოდა ჩემი ბედნიერება დაგენგრია, მაგრამ ის კი ვერ გათვალე, რომ მიგიხვდებოდი და ხელს შეგიშლიდი შენი დამპალი ჩანაფიქრის განხორციელებაში!

გუსტავი - ბოლომდე ვერ დაგეთანხმები, უბრალოდ ასე გამოვიდა... არ ვმალავ, ყოველთვის მინდოდა, რომ თქვენ ორს ცუდად დაგემთავრებინათ, თუმცა, ვფიქრობდი, რომ ჩემი ჩარევა ამ ურთიერთობაში სულაც არ იქნებოდა აუცილებელი, ამას გარდა, არც ინტრიგების ხლართვის დრო მქონდა... მაგრამ, აი, ერთ მშვენიერ დღეს გემზე დაგინახე!.. კარგა ხანს გიყურებდი, როგორ კეკლუცობდი იმ ახალგაზრდა ბიჭებთან!.. მერე კი, როცა აქ ჩამოვედი და შენს ბეკეკას გადავეყარე, რომელმაც თავად მოინდომა მგლის ხახაში აღმოჩენა, ვალიარებ, მივხვდი, რომ ხელსაყრელი დრო დამიდგა!.. მე ეს ახალგაზრდა ეპილეპტიკი ჩემდამი სიმპათიით განვაწყვე იმ მეთოდებით, რომლებზე შენთან საუბარიც კი არ ღირს, რადგან აზრი არ აქვს, მაინც ვერაფერს გაიგებ, ხოდა, მას შემდეგ გვერდიდან არ მომშორებია!.. თავიდან შემეცოდა კიდევ, რადგან ისევე იტანჯებოდა, როგორც მე - ოდესღაც... თუმცა, მერე ისეთ თემას შეეხო, რასაც, სჯობდა, არ შეხებოდა - შენს რომანს, სადაც ამბავი იდიოტ ქმარზეა... რა ვქნა, საშინლად მომიწინდა ამ ყოჩალი ბიჭის სათამაშოსავით ნაწილ - ნაწილ დაშლა. დავშალე კიდევ და ნაწილები ერთმანეთში ავურთიე, ვეღარავინ რომ ვერ შეძლოს მისი თავიდან აწყობა!.. სულაც არ იყო ძნელი ამბავი, რადგან შესამზადებელი სამუშაოები შესანიშნავად გქონდა ჩატარებული, ყოჩაღ! - პირთამდე იყო შენით სავსე! შენ იყავი მისი მექანიზმის მთავარი ზამბარა, რომელიც მე გავგლიჯე - მთელი ეს ხმაურიც ამან გამოიწვია!.. თავიდან საერთოდ არც ვიცოდი, მისთვის რა მინდოდა მეთქვა, ჭადრაკის იმ მოთამაშეს ვგავდი, რომელმაც თავის დროზე თამაშის რამოდენიმე სისტემა შეიმუშავა და ახლა მხოლოდ მეტოქის სვლაზეა დამოკიდებული, ის რომლით დაიწყებს თამაშს, რომ აჰყვეს, შემდეგ ერთ სვლას მეორე მოჰყვება, მეორეს-მესამე!.. ბოლოს კი ყველაფერი შემთხვევითობამ დააგვირგვინა და აი, ახლა ჩემს ხელთ ხარ!.. ჩემს ხელში ხარ მეთქი და ვეღარსად წამიხვალ!..

თეკლა - არა!..

გუსტავი - როგორ არა!.. რისიც ყველაზე მეტად გეშინოდა, სწორედ ის მოხდა! გახსოვს, ის ორი უცხოელი ქალბატონი?.. საერთოდ არ ველოდი, არც მიფიქრია! თეატრალური ინტრიგების ხლართვა ნამდვილად არ მეხერხება... მოკლედ, საზოგადოებამ, ალბათ, უკვე შეიტყო, როგორ ჩაუვარდი მკლავებში შენს ერთგულ ყოფილ ქმარს! ვფიქრობ, საკმარისია, არა?..

თეკლა - შენი შურისძიებისთვის - ნამდვილად! მაგრამ, იქნებ, გაისარჯოს და ამიხსნას მისმა უდიდებულესობა - შენმა ბრწყინვალე გონებამ, როგორ მოხდა, რომ შენ, რომელიც ყოველთვის

ამტკიცებდა, რაც ქვეყნად ხდება, ყველაფერი გარდაუვალი კანონზომიერების ბრალიაო, რომ საკუთარ არჩევანში თავისუფლები არ ვართო...

გუსტავი - ვერ გაგიგია კარგად ჩემი ნათქვამი...

თეკლა - ფეხებზე მკიდია! მნიშვნელობა არ აქვს!..

გუსტავი - აქვს!

თეკლა - ამიხსენი, შენ ხომ თვლიდი, რომ უპასუხისმგებლო ვიყავი, როცა გარემოებამ და ჩემმა ხასიათმა მაიძულა ისე მოვექცეულიყავი, როგორც მოვიქეცი. რატომღა მიეცი საკუთარ თავს შურისძების უფლება?

გუსტავი - სწორედ - ამიტომ!!! ახლა მე მაიძულა გარემოებამ და ჩემმა ხასიათმა, რომ შური მეძია! ორივეს შემთხვევაში საფუძველი ერთია... იმას მაინც თუ მიხვდი, ამ ბრძოლაში ორივე რატომ დამარცხდით? (თეკლა უნდობლად შესცქერის) რატომ გაებით ორივე ხაფანგში ასე მარტივად? იმიტომ, რომე მე თქვენზე ცბიერიც აღმოვჩნდი და - ძლიერიც, თქვენ კი ორივე იდიოტები ხართ, რადგან ყველა იდიოტი გგონიათ, ვინც რომანებს არ წერს, ან ვერ ხატავს! ამიტომ, კარგად დაიმახსოვრეთ, რომ სწორედ ამიტომაც თავად ხართ იდიოტები!..

თეკლა - არანაერი გრძნობა არ გაგაჩნია...

გუსტავი - სრული სიმართლეა! ამიტომაც ვაზროვნებ და ვმოქმედებ კიდეც, რაშიც, ალბათ, ვფიქრობ, თავადაც დარწმუნდი.

თეკლა - და ეს ყველაფერი იმიტომ ჩაიდინე, რომ თავმოყვარეობა შეგელახა?

გუსტავი - არა - მხოლოდ... თუმცა, მოსინჯე, აბა, სხვასაც მიაყენე შეურაცყოფა!.. თავმოყვარეობა ადამიანის ყველაზე მტკივნეული ადგილია.

თეკლა - შენი შურისძიება ისეთი სიმდაბლეა!.. ფუ!..

გუსტავი - რა უხამსობაა! ფუ!

თეკლა - ვერაფერს იზამ, ასეთი ვარ!

გუსტავი - ხოდა, მეც ასეთი ვარ და - მორჩა!

გუსტავი - გახსოვდეს, სანამ თავს საკუთარი თვისებების გამჟღავნების უფლებას მისცემ, სხვისიც უნდა გაითვალისწინო, რადგან არ იცი, მასთან რას წააწყდები, შესაძლოა, მწარედ ინანო!..

თეკლა - მიტევების უნარი არ გქონია...

გუსტავი - მე შენ გაპატიე.

თეკლა - მაპატიე?!

გუსტავი - რა თქმა უნდა! ამდენი წლის მანძილზე ჩემი ხმა გაგიგია? არა. ახლოს არ გაგკარებხარ! ერთხელ გამოვჩნდი შემთხვევით და ესეც კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ თქვენი ურთიერთობა ნანგრევებად ქცეულიყო. რას მიყურებ? მე რა, სცენებს გიწყობდი, თუ გასაყვედურობდი? არც დამიწყევლიხარ... ერთი დაცინვა საკმარისი აღმოჩნდა შენი ქმრის გასანადგურებლად!.. ახლა კი მოვრჩი ბრალმდებლობას და მზად ვარ გიპასუხო, რაზეც გნებავს... თეკლა, აღარ გინდა, რომ მისაყვედურო? არანაერი კითხვა აღარ გაქვს?

თეკლა - არა, არაფერში გდებ ბრალს... იცი, ქრისტიანებს სჯერათ, რომ ადამიანების საქციელს ღმერთი განაგებს, სხვები ფიქრობენ, რომ ეს ბედისწერაა... ჩვენ არაფერი დაგვიშავებია.

გუსტავი - თითქოს გეთანხმები... მაგრამ უმნიშვნელო საქციელის გამოც შეიძლება ვალში აღმოჩნდე და უნდა გახსოვდეს, რომ ამის გამო, ადრე, თუ - გვიან კარს კრედიტორი მოგადგება, ვალი ვალია!.. შესაძლოა მკვლევები და დამნაშავეები არ ვიყოთ თითქოს, მაგრამ პასუხისმგებლობა ყოველთვის გვაკისრია. დავუშვათ, მის წინაშე არ ვართ დამნაშავენი, ვისიც აღარ გვწამს, მაგრამ ერთმანეთისა და მოყვასის წინაშე ხომ გვაკისრია პასუხისმგებლობა?.. ამას ვერსად გავექცევით.

თეკლა - გამოდის, რომ შენ ხარ ჩემი კრედიტორი?

გუსტავი - დიახ. ოღონდ მე მოვედი იმიტომ, რომ ის მივიღო, რაც მომპარე და არა, ის რაც ჩემგან მიიღე! შენ მე ღირსება წამართვი და რადგან მისი დაბრუნება შენს ძალებს აღემატება, მე შენს ღირსებას წავიყოლებ თან! რას იტყვი, ხომ სამართლიანად მოვიქცევი?!

თეკლა - ღირსება! ჰმ!.. და ახლა კმაყოფილი ხარ?

გუსტავი - ახლა - დიახ. (რეკავს).

თეკლა - მიდიხარ?.. შენს საცოლესთან?

გუსტავი - არანაერი საცოლე არ მყავს! და არც არასდროს მეყოლება!.. არც სახლში მივემგზავრები, იმიტომ, რომ აღარც სახლი გამაჩნია და არც სურვილი მაქვს, რომ გამაჩნდეს! (შემოდის ლაქია) ანგარიში, თუ შეიძლება, პირველივე გემს უნდა გავყვე. (ლაქია გადის).

თეკლა - ისე წახვალ, რომ არ შემირიგდები?

გუსტავი - შეგირიგდე? კიდევ რა მნიშვნელობადაკარგულ სიტყვათა მარაგი გაქვს ლექსიკონში? როგორ შეგირიგდე? შემთხვევით სურვილი ხომ არ გაქვს, რომ სამივემ ერთ ტკბილ ოჯახად ვიცხოვროთ?! არადა, შერიგება შესაძლებელი იქნებოდა, დანაშაულის გამოსყიდვა რომ შეგეძლოს, მაგრამ სამწუხაროდ არც ეს შეგიძლია! შენ მხოლოდ მიღება შეგეძლო და არა - გაცემა, თუმცა, რაც წაიღე, ისიც გაანადგურე, ამიტომ ველარაფერს დამიბრუნებ!.. კმაყოფილი იქნები, ახლა რომ გითხრა, მაპატიე, მაგრამ შენ ჩემი ცხოვრება დაანგრე მეტეჟი? მაპატიე, შენ მე შეურაცყოფა მომაყენე, გული გამიტეხე მეტეჟი?! ისიც მაპატიე, რომ მთელი შვიდი წელი საკუთარი მოსწავლეების დაცივნის ობიექტი გამხადე მეტეჟი?! კმაყოფილი იქნები?.. ხო, მაპატიე, რომ შენი მშობლებისა და მათი უმეცრებისა და ცრუმორწმუნეობის ტყვეობიდან გაგათავისუფლე და საკუთარი ოჯახის სიწმინდე განდე! მაპატიე, რომ ბავშობიდან ქალობაში ჩემთან ერთად გადადგი ნაბიჯი! მაპატიე, როგორც მე გაპატიე!!! მე ვიხდი ჩემს ვალს! შენ კი წადი და მასთან გაასწორე საკუთარი ანგარიში!..

თეკლა - მასთან?.. რა უქენი მას? ვეჭვობ, რაღაც საშინელება!..

გუსტავი - შენ რა, ისევ გიყვარს? მართლა?!

თეკლა - დიახ!

გუსტავი - ოდესღაც მეც ხომ გიყვარდი?.. მიპასუხე!

თეკლა - ოდესღაც!

გუსტავი - იცი, ვინ ხარ?..

თეკლა - გეზიზღები?..

გუსტავი - არა, მეცოდები, ეს კი ადამიანისთვის არ მგონია, სასიამოვნო იყოს. საწყალი თეკლა!.. რატომღაც შეგრძნება მაქვს, რომ მეც რაღაც დავამავე, თუმცა შენსავით უდანაშაულო კი მგონია

თავი... ვფიქრობ, შენთვის ჭკუის სასწავლებლად მაინც გამოდგება ჩვენი ეს შეხვედრა. იმედია, მალე იმას იგრძნობ, რაც ოდესღაც მე განმაცდევინე. იცი, სად არის შენი ქმარი?..

თეკლა - მგონი, ვიცი... ვხვდები!.. ის იქ არის... იმ ოთახში! ყველაფერი ესმოდა... და ყველაფერს ხედავდა!.. ვინც საკუთარ დემონებს შეიცნობს, ის მოკვდება!..

ოთახიდან მკვდარივით გაფითრებული ადოლფი გამოდის, მარცხენა ლოყაზე სისხლიანი ნაკაწრი აქვს, უტყვი სახე და გაყინული მზერა აქვს, პირიდან თეთრი ქაფი სდის.

გუსტავი - (იხევს) აი, ისიც... მიდი და მასთან მოსინჯე ანგარიშსწორება, ვნახოთ, ჩემსავით გულმოდრინად თუ აღმოჩნდება! მშვიდობით!.. (სცენის მარცხნივ აპირებს გასვლას, მაგრამ გზად შეჩერდება).

თეკლა - (ხელებგაწვდილი გაემართება ადოლფისკენ) ადოლფ!.. (ადოლფი მუხლებში ჩაიკეცება. თეკლა მივარდება მკვდარს და კოცნის) ადოლფ, ადოლფ!.. ჩემო პატარა! ცოცხალი ხარ?.. მითხარი, მითხარი რამე!.. აპატიე შენს ბოროტ თეკლას! მაპატიე, ადოლფ... მაპატიე!.. მაპატიე, ძამიკო! გესმის ჩემი?! ღმერთო, არ ესმის!.. მოკვდა! ღმერთო, ყოვლადმოწყალო ჩვენო, შეგვინდე!.. მოილე მოწყალება! დაგვეხმარე, ღმერთო!..

გუსტავი - როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ჰყვარებია... უბედური ადამიანი!

დასასრული

